# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 4 ივლისი, 2012 წელი.

№126 (7002)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


# ტოტია უნდა შეიჭამოს!..

2



## ახალი პრემიერ-მინისტრი – ოპოზიცია იდუმალმა შიშმა შეიპყრო,

## ანუ ეშველება ქვეყანას სააკაშვილის წასვლით?

4



## „პიაცების“ იმედად განვითარებულ ტურიზმს პერსპექტივა არა აქვს

6



## საიდუმლო ცხადი ხდება

8

## „ქართუ ბანკს“ ხელისუფლების მიერ შექმნილი კომპანია იყიდის

5

### სარედაქციო ფოსტიდან

# ივანიშვილის შპარგალკით

ეს ჩვენი პრეზიდენტი მართლა კარგი ვინმეა. ჯერ იყო და მილიონი მილიონზე სცინცლა ბიძინა ივანიშვილს, ჯარიც ფეხზე დააყენა და პოლიციაც, ჩააცვა და დაახურა ივანიშვილის ფულით, ახლა აქაოდა ნებით აღარ იძლევაო, ძალით დაუწყო წართმევა. მილიონიანი ჯარიმების ყულფში გააყოფინა თავი... მაგრამ ძალაუფლების დაკარგვის შიშით შეპყრობილმა ესეც არ იკმარა და ახლა წინასაარჩევნო პროგრამის გაძარცვა დაუწყო. რაც თითქმის ცხრა წელიწადში, ანუ ორ ვადაში ვერ მოახერხა, არჩევნებამდე დარჩენილ სამ თვეში აპირებს, რომ თავი მოძალღლოს „მძვინვარე“ უმუშევრობას, კიდევ არაერთ გადაუჭრელ პრობლემას და ეგრევე ნათელ მომავალში გადაგვიყვანოს... ეს მაშინ, როცა იმის იმედით, რომ ხალხს ბევრი რამ აღარ ახსოვს, ჩაილულის წყალი დაალევინა ნაციონალთა ბევრ სამომავლო დაპირებას.

და აი, ბიძინა ივანიშვილისგან წინასაარჩევნოდ შეგულიანებულმა მიხეილ სააკაშვილმა კვლავ გაშალა პოლიტიკური დაფა, რომელზედაც გამსვლელ პაიკად წარმოაჩინა ქვეყნის პირველი პოლიციელი, ვის კისერზეც, დიდად სამწუხაროდ და სავალალოდ, ბევრი უდანაშაულო მსხვერპლის ცოდვა წითელი მამალივით წამოსკუპებულა.

სწორედ ამ ცოდვიანი პირველი პოლიციელის ენა-პირით გვამცნო პრეზიდენტმა სააკაშვილმა რატომღაც გლდანიდან, თანაც ამერიკულად ღია ცის ქვეშ გამართული საგანგებო შეკრებიდან, ნაციონალთა ახალი წინასაარჩევნო პროგრამა, რომელიც, როგორც წყლის ორი წვეთი, ისე ჰგავს ბიძინა ივანიშვილის წინასაარჩევნო დაპირებებს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამ პროგრამას შესრულება არ უწერია, და მხოლოდ მოსახლეობის მორიგ წინასაარჩევნო გაცუცურაკებას ისახავს მიზნად.



დღეს ყველგან ყველა ერთსა და იმავეს ლაპარაკობს. ხალხს არა სჯერა ამ ახალი დაპირებებისა, რადგან ხელისუფლებამ ყველაფერი ილონა ამ წლების განმავლობაში, რომ საბოლოოდ დაეკარგა ხალხის ნდობა და პოლიტიკურად გაკოტრებულიყო.

ყველა იმასაც ცხადად ხედავს, რომ ნაციონალების ამჟამინდელი პოპულისტური წინასაარჩევნო ახუნტრუცება ძალაუფლების შენარჩუნების კიდევ ერთი ამაო ცდაა.

მერაბიშვილის მიერ წარმოდგენილი პროგრამა ბიძინა ივანიშვილის ყოველმხრივ გათვლილ-გააზრებული პროგრამიდან მოწაფურად გადმოწერილი მხოლოდ და მხოლოდ არარეალურად ციფრებშეცვლილი დავთარია და ისევ და ისევ ისედაც არაერთხელ გაცურებული ხალხის მოსატყუებლად არის წინასაარჩევნოდ გახმიანებული.

ჩვენ, ხალხს, აღარ გვჯერა ამ ხელისუფლების, რომელმაც არც ერთხელ არ დაგვინდო, როცა კი სამართლიანობა მოვითხოვეთ, და ფეხქვეშ გაგვიგდო, თავ-პირი შაჰაბასურად დაგვისისხლიანა.

ამიტომ არის, რომ ასე მოუთმენლად ველოდებით ოქტომბერს, ანუ მწიფობისთვის, ოდეს ჭეშმარიტი თავისუფლება და სამართლიანობა უნდა მოვირთვლიანოთ.

გივი შათირიშვილი,
ქ.თელავი.

№126. ოთხშაბათი, 4 ივლისი, 2012 წელი.

ამოდის, ნათდება...

ის ძველებურად რიხიანი ვეღარ არის.

კი, გამოსვლები კვლავაც მქრის მაიმბლური აქვს, კვლავაც „ვიღაც“ და „ვიღაცები“ ჰყავს მიზანში ამოღებული, რომლებიც მტრის დავალებით მოქმედებენ... მათ არ უღდათ დაინახონ ის საყოველთაო აღმშენებლობა, ის უზარმაზარი მიღწევები, რომლებიც...

დიახ, პრეზიდენტზე მოგახსენებთ.

ყოველდღე ვისმენთ მის რევანშისტულ გამოსვლებს და სწორედ იმიტომ, რომ ყოველდღე ვისმენთ, ნათლად ვხედავთ – ამ გამოსვლებს თანდათან აკლდება ცეცხლი, ისევე როგორც ტაშისმკვრელი.

საერთოდ, მას აქვს უნიკალური უნარი მსმენელში უკურეაქციის გამოწვევისა. თუნდაც რუსეთის მაგალითი ავიღოთ. იმდენი და ისე მრავალმხრივად ლანძღა ჩრდილოელი მეზობელი, ბევრი შემობრუნდა მისკენ.

აშკარად ჩანს, პრეზიდენტი სკეფსისმა შეიპყრო.

ამის თაობაზე ათას რაღაცას ლაპარაკობენ, მაგრამ ჭორებს ახულა რა საკადრისია. „კეისრის ცოლი – ეჭვებზე მაღლა“!

ჭორებს ნუ აჰყვებით, მაგრამ თბილისის, ქუთაისისა და ოზურგეთის საპროტესტო აქციები უტყუარად გვიჩვენებს: საზოგადოების წინააღმდეგობა განწყობებში ბარდებაზეა – ღრმა და არსებითი. მიხეილ სააკაშვილი არ შეიძლება არ ხვდებოდეს ამას.

ხვდება და ხვალის იმედს ჰკარგავს. ისიც და მისი გარემოცვაც.

არც შეიძლება არ ჰკარგავდნენ.

ნუ შეგვაცდენს წილაურის, პალიკო კუბლაშვილის თუ სხვათა კამიკაძეობა. მათ უბრალოდ სხვა გზა არ აქვთ, ბოლომდე უნდა დაიხარჯონ ამ უიმედობაში.

**დღეს ახალი ისტების ძებნის პროცესში ვართ. მიშისტობა და ნაცისტობა მორიგი ისტობით უნდა შეიცვალოს.**

**არადა, რამდენი ისტობა გამოიარა ქვეყანამ ბოლო ერთ საუკუნეში!**

**მარქსისტობა,**

**კომუნისტობა,**

**მაუზერისტობა...**

**ყოველთვის მშვიდობიანად როდი თანაარსებობდნენ დაპირისპირებული ისტები. ტროცკისტები და სტალინისტები სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაეჯახნენ ერთმანეთს რქებითა და ჩლიქებით.**

ეროვნული მოძრაობის კვალდაკვალ ზვიადისტობა აბობოქრდა, ფაქტობრივად უალტერნატივოდ.

ბოლოს ქვეყანა მიშისტობამ გადაძოვა, რომელიც ბუნებრივად გაიგივდა ნაცისტობასთან (ნაციონალისტობასთან).

დღეს მიშისტობას ფეხქვეშ ნიადაგი ერყევა.

მას ქართული ოცნება არყევს, ოღონდ ეს ახალი მოძრაობა ჯერჯერობით ისტობით ვერ ლაღობს.

16 ორდენის კავალერი, უშიშროების გენერალ-ლეიტენანტი ლავრენტი ცანავა სინამდვილეში ჯანჯღავა გახლდათ, მაგრამ რაკიღა რუსებს დჟანდჟგავას გამოთქმა უჭირდათ, დიდი სეხნიის რჩევით, გვარი ცანავად გადაიკეთა.

„ივანიშვილისტობა“ ცოტა გრძელი და ამდენად ნაკლებმოსახერხებელია, „ბიძინისტობაც“ ყურს ჭრის, იქნებ „ოცნებისტობაზე“ შევჯერდეთ?

თავიდან ასე ყოვლმხრივ მოხერხებული და მხარდაჭერილი მიშისტობა თუ სათაგურად ექცეოდა ქვეყანას, ვინ იფიქრებდა!

დიქტატორი სახელმწიფოს ერთპიროვნული მმართველია, რომელიც აღჭურვილია შეუზღუდველი ძალაუფლებებით. დიქტატორს ძველ რომში, საიდანაც მოდის ეს სახელი, სენატი ნიშნავდა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო საფრთხის დროს.

ახლა განსხვავებული მდგომარეობაა: დღეს დიქტატორებს ირჩევენ, უფრო სწორად კაცს ირჩევენ ან ნიშნავენ თანამდებობაზე, მაგალითად პრეზიდენტად ან განათლების მინისტრად, და ის შემდეგ ხდება დიქტატორი.

არიან დიდი და პატარა დიქტატორები. პატარა დიქტატორები პატარა უბედურებას ატრიალებენ, დიდები – დიდს.

თანამდებობის პირის დიქტატორად მეტამორფოზა თანდათან ხდება, იმისდა კვალდაკვალ, თუ როდის და როგორ გაუჯდება ამ კაცს ძვალ-რბილში თანამდებობით თრობა-ტკბობა და როგორ ეცვლება ზნე.

ამის კლასიკური მაგალითია რომის იმპერატორი კალიგულა.

ამბავი, თუ როგორ დანიშნა კალიგულამ თავისი საყვარელი ცხენი კონსულად (ეს რომში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თანამდებობა იყო) – მითი უფროა. ცხენი კონსულად არ დაუნიშნავს. ისტორიული წყაროების თანახმად, კალიგულამ მხოლოდ წამოაყენა ასეთი წინადადება, ოღონდ ეს აშკარად ხუმრობას ჰგავს და სენატორთა განაწყენებიდან იღებს დასაბამს, რომლებთანაც იმპერატორს ცუდი ურთიერთობა ჰქონდა.

ეს კია, კალიგულას ძალიან უყვარდა ცხენები და ფულს არ იშურებდა თავისი რაშების საჩუქრებისთვის. ჩუქნიდა კი – სახლებს, მონებს, ოქროს თასებს.

მისი ახირებანი თავზარს სცემდა ქვეშევრდომთ და ავად ზემოქმედებდა სახელმწიფო პოლიტიკაზე.

**კალიგულას ჭკუამიღმური მოქმედებანი ბევრს აფიქრებინებს, რომ ეს კაცი შეურაცხადი იყო.**

**ოღონდ: როგორც კლასიკური ანტიკური ხანის სპეციალისტთა უკანასკნელი დროის გამოკვლევები ადასტურებს, კალიგულა კი გიჟობდა, მაგრამ ძალიან კარგად იცოდა, რასაც იქმდა და რა უნდოდა. უბრალოდ სრულად იყენებდა აბსოლუტურ ძალაუფლებას და ტკბებოდა თავისი ახირებებით. ამ კაცის უგვან ქცევებს სპეციალისტები მისი სიახალგაზრდავით ხსნიან (კალიგულა 24 წლისა იყო, როცა ხელისუფლებაში მოვიდა. შედარებისთვის: მიხეილ სააკაშვილი 36 წლისა გახლდათ, ოღონდ ცხვირს მაინც სახელოთი იწმენდდა. სხვათა შორის - დღესაც).**

შეიძლება თვალის გადევნება, თუ როგორ ეხვევა თავბრუ ადამიანს, რომელიც მოუმზადებლად აფრინდება აბსოლუტური ძალაუფლების მწვერვალზე. ასეთი „მოზარდი“ გულდაგულ ამოწმებს თავისი ძალაუფლების საზღვრებს. როცა ადამიანები მხარს უბამენ მის ახირებებს, ეს თავდაჯერებას მატებს, საბოლოოდ არწმუნებს, რომ ყოვლისშემძლეა.

უგანდის მმართველმა (1970-იან წლებში) იდი ამინმა ათასგვარი ტიტული მიინიჭა, მათ შორის „ბრიტანეთის იმპერიის დამპყრობი“, „შოტლანდიის მეფე“, ფელდმარშლის სამხედრო წოდება, თავი დაიჯილდოვა ბრიტანეთისა და საფრანგეთის უმაღლესი სამხედრო ორდენებით: ვიქტორიას ჯვრითა და სამხედრო ჯვრით.

ამ კაცმა სახელი გაითქვა იმით, რომ „ომი გამოუცხადა“ აშშ-ს. ეს იყო დიდი, სისხლისმღვრელი ერთდღიანი „ომი“. მეორე დღეს უგანდის მმართველმა მსოფლიოს აუწყა „ომის“ ძლევამოსილად დასრულება.

ჩრდილოეთი კორეის დიქტატორის კიმ ჩენ ირის ოფიციალური ბიოგრაფები გვაუწყებენ, რომ როდესაც ის დაიბადა, ცაზე ცისარტყელა გამოისახა და ამობრწყინდა კაშკაშა ვარსკვლავი,

## ტოტია უნდა შეიჭამოს!..



ხოლო როდესაც გარდაიცვალა, გიგანტურ ტბაზე ყინული გაიბზარა. თურმე როცა კიმ ჩენ ირმა პირველად ითამაშა ბოულინგი, 300 შესაძლებლიდან 300 ქულა აიღო, ხოლო როცა ასევე პირველად გამოვიდა გოლფის მოედანზე, მაშინვე დაამყარა მსოფლიო რეკორდი.

თურქმენბაშმა, „ყველა თურქმენის მამამ“ საფარმურატ ნიაზოვმა 15-მეტრიანი ოქროს ძეგლი აიგო, რომელიც ბრუნავდა და სახით ყოველთვის მზისკენ იყო მიბრუნებული. ეს იმ დროს, როცა ქვეყნის მოსახლეობა შიმშილობდა. ნიაზოვი 2006 წელს აღესრულა, ოქროს ძეგლი კი 2010 წელს ჩამოიღეს კვარცხლბეკიდან.

ჩვენს პრეზიდენტსაც აქვს დიქტატორული გამოხდომები (არ მინდა ვთქვა, რომ ის ჩამოყალიბებული დიქტატორია, უბრალოდ საამისოდ მასშტაბები არ ჰყოფნის!.) თუნდაც ამინივით რუსეთთან „ძლევამოსილად“ დასრულებული ლამის ერთდღიანი ომი ან კალიგულასავით ცხენთმოყვარეობა ავიღოთ. ოღონდ აქ ცხენების ადგილზე ვირებია. ადმირალი კანარისი არიგებდა მაიორ შტაინგლიცს, ვირის ნიშანი აუცილებლად ყურები როდიაო. რამდენი სახედარია ნაცელიტაში თუ დაბალ რგოლებში, რამდენი თავანკარი ვირი გვხელმძღვანელობს და განგვსჯის...

ახლა – თურქმენბაშური ოქროს ძეგლით – ათასი ჯურის შადრევნებითა და სკულპტურებით აჩონჩხილი ქვეყანა, საქართველოს ცაზე ენით გადებული კიმჩენირული ცისარტყელები და ამობრწყინებული კაშკაშა ვარსკვლავები!..

სხვა თუ არაფერი: ლაზიკა გადასცემს შთამომავლობას, თუ როგორ იქცა დავითის საფლავზე საზეიმოდ დადებული ფიცი ხალხის ფეხებზე დაკიდების ნიმუშად.

თუმცა „ხალხი“ ერთგვაროვანი ცნება არ არის. მისი ერთი ნაწილი რომ თბილისში, ქუთაისში, ოზურგეთსა თუ მცხეთაში მიტინგებს არ აცდენს, მეორე ნაწილი მერეთში თანასოფლელებს ცხვირპირს უსისხლიანებს, მიშას გაუმარჯოსო.

ჭკვიანი კაცი იყო ანტონ ჩეხოვი, ყოველდღიურად წვეთ-წვეთად გამოწურე შენი თავიდან მონაო.

არ გვადგება საშველი.

მონობაც არის და მონობაც, სპარტაკიც მონა იყო და ასთიონაც.

**ნებაყოფლობითი მონა სტამბოლის ბაზარზე გაყიდულ ყულიზე უარესია. ნებაყოფლობით მონობას ძნელად გამოიწურავ სულიდან და ხორციდან**

და სამივე ტელეარხიდან მოედინება „მიშა, მიშა!“

მიშამაც იცის, რომ ამ ხალხს ძვალი უნდა გადაუგდოს.

და მადლობას ეუბნება, „ბათუმელებს, ქედელებს, რომლებიც ჰილარი კლინტონის სტუმრობისას პირდაპირ გზაზე დამწკრივდნენ და საათობით ელოდნენ, იმისთვის, რომ საკუთარი კეთილგანწყობა, სტუმართმოყვარეობა გამოეხატათ. მადლობა ქუთაისელებს იმისთვის, რომ 26 მაისის აღლუმზე ათიათასობით ადამიანი გამოვიდა“...

პრეზიდენტი ახალ-ახალ რეფორმებს ატარებს საყვარელი ხალხისთვის. „თუ ადრე IX, X, XI კლასებში აღარავინ აღარ სწავლობდა, ხოლო XII კლასში საერთოდ აღარავინ დადიოდა (თუ არავინ დადიოდა, რატომღა დაამატე ეს მართლაც პარაზიტი XII კლასი? – ა. ა.). მას შემდეგ რაც სკოლებში გამოცდები შემოვიღეთ, ბავშვები სკოლებში დაბრუნდნენ“(?) თუ ადრე შეღერებულ გოგო-ბიჭებს მოუწოდებდა, ბუჩქებს შეესიეთო, ახლა კინოთეატრების, ბიბლიოთეკების, სხვადასხვა მედიათეკების დალაშქვრას მოუწოდებს.

„თუ ადრე ოპოზიციის საყვარელი თემა და დაცინვის ობიექტი „100 საავადმყოფოს“ პროგრამა იყო, ახლა ამ თემაზე ყველა გაჩუმებულია, რადგან 100 საავადმყოფო 150 საავადმყოფოდ იქცა. გავაკეთეთ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კარგი საავადმყოფოები“...

გააკეთეს და დგას ეს „საუკეთესო საავადმყოფოები“ ცარიელი, ისინი ხელმისაწვდომი არ არის, საყვარელ ხალხს მკურნალობის სახსრები არ აქვს და 27 წლის მშობიარე ქალი საავადმყოფოში უექიმობით კვდება... ეგ კი არა, „ქრონიკული ფორმის მანიაკალურ-დეპრესიული ფსიქოზის“ დიაგნოზის დასასმელად პრეზიდენტის ლიტვაში მალულად გადაყვანა გახდა საჭირო.

ააგეს, „სრულიად ახალი“, უცხოური სტანდარტების შესაბამისი ბათუმი და იმდენი ქნეს, რომ ეს საყვარელი ქალაქი დაგვიკარგეს. იგი უკვე იმდენად უცხო, იმდენად სხვაა, რომ კაცი, მით უფრო თუ გატენილი ქისა არ უდევს ჯიბეში, იქ ვერ გრძნობს რომ შინაა, საქართველოშია, იგი შორიდან ათვალიერებს ფეშენებლურ სასტუმროებს, რომლებშიც ვერასოდეს გაათევს ღამეს და ბოლომით უსმენს მისთვის უცხო, მოძალებულ თურქულ საუბარს...

**დღეს, როცა ზურგს უკან „ქართული ოცნების“ მწველი სუნთქვა რეალურად იგრძნო, მიხეილ სააკაშვილი, როგორც იტყვიან, „იშკილებიდან ჩამოვარდა“. ოღონდ დირექტივებს მაინც აფრქვევს მდგომარეობის გადასარჩენად. თანაც ახლა უკვე ყურადღებით ეკიდება მოწინააღმდეგის სლოგანებს, რომლებშიც დასაქმება, სოფელი და ჯანდაცვა ბატონობს და იმას, თუ რა წარმატებით სარგებლობენ ისინი ხალხში. ამიტომ თვითონაც საკუთარივით მოიმარჯვა „ოცნებისეული“ დირექტივა: დავძლიოთ უმუშევრობა, ავაღორძინოთ სოფელი! („მე ძალიან მიყვარს სოფელი“ - მიხეილ სააკაშვილის განცხადებიდან).**

დირექტივა თავისთავად ცუდი როდია, ცუდი არაკომპეტენტური დირექტივაა. მთავარია, ვინ როგორ უნდა შეიმუშაოს და გასცეს კომპეტენტური დირექტივა. ეიფორიაში მყოფი პრეზიდენტი უნაყოფო ძიებაშია.

ახლა თითქოს იპოვა გამოსავალი. ნიკა გილაური, რომელსაც სერიოზულად მაინც არავინ აღიქვამდა, პრემიერ-მინისტრობიდან ისე დაიქნია, თვითონ მისთვის კი არა, საზოგადოებისთვისაც არ მიუცია განმარტება, რატომ და რისთვისო და თავისი უკანასკნელი იმედი ვანო მერაბიშვილი დასვა ქვეყნის მესამე კაცად. ის კი განმარტა, რა იმედებსაც სდებს ამ კაცს:

ვანომ ბეჭებზე დადო კრიმინალი და კორუფცია. ახლა პრემიერის რანგში მისი მთავარი ამოცანა ის იქნება, რომ ბეჭებზე დადოს უმუშევრობაო. 2008 წელს, როცა ათეულ ათას ჩვენს მოქალაქეს საცხოვრებელი სახლები დასჭირდა, პროგრამა ვანოსთვის ჩაუბარებიათ და მასაც წარმოუდგენლად მოკლე დროში, პრაქტიკულად ახალი ქალაქები აუგია.

აი, ასეთია ვანო!

„საქართველოს მთავრობაში დამატებით შეიქმნება ახალი თანამდებობა – დასაქმების სახელმწიფო მინისტრი, ჩამოყალიბდება ცალკე დასაქმების პროგრამა, ყველა თავისი პრიორიტეტით“, – მიხეილ სააკაშვილი.

ვის დაამტკიცებენ ქვეყნის გადამრჩენ ამ ახალ თანამდებობაზე (ტრაპაიძეს?), ვინ არის ხელისუფლებაში და ნაცელიტაში ყველაზე უსაქმური?

„წლების მიხედვით გაწერილ გეგმაში გათვალისწინებული იქნება 3 მთავარი პრინციპი: დასაქმება, სოფლის განვითარება და ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა. ჩვენი გეგმით, მთელ გუნდთან ერთად, ჩვენ გავაძლიერებთ ქართულ სოფელს და გავაძლიერებთ ქართველ გლეხებს!“

ბედნიერი ქართველი გლეხი! იმის საკეთილდღეოდ მზად არის ხუთწლიანი გეგმა, რომლის ხორცშესასხმელად ფეხზე დგას მთელი „ჩვენი გუნდი“, ანუ მთელი ნაცელიტა, პრეზიდენტი მიშა, პრემიერი ვანო და დასაქმების სახელმწიფო მინისტრი (ტრაპაიძე?), ვთქვათ, ისეთივე ენერგიული და გამოცდილი მუშაკი, როგორიც ყოფილი სოფლის მეურნეობის მინისტრი ნიკა კვეზერელი იყო.

დრო კი სულ უფრო გვაახლოებს ოქტომბერს. როგორც ვხედავთ, გიგანტთა ჭიდილი ერთნაირ პროგრამათა დატოლებაში გადავიდა. მაგრამ ეს უბრალო შეჯიბრება არ არის. მასზე ქვეყნის მომავალი ჰკიდია.

ამოდის, ნათდება...

ტოტია უნდა შეიჭამოს!

ალეკო ასლანიშვილი

◉ თვალსაზრისი

# მთავრობის ახალი გეგმა – ოპოზიციასთან შეჯიბრი

## როგორ აფასებენ ექსპერტები პრემიერის შეთავაზებას



**როგორც ცნობილია, პრემიერმა ვანო მერაბიშვილმა გუშინწინ მოსახლეობას სამთავრობო გეგმა გააცნო.**

**გეგმის თანახმად, მომავალი წლიდან თითოეული ოჯახი 4 წელზე გაწერილ ათასლარიან ვაუჩერს მიიღებს. პრემიერობის კანდიდატის განცხადებითვე, მომდევნო 4 წელიწადში 3 მილიარდი ჯანდაცვის სფეროს, ხოლო 4 მილიარდი სოფლის მეურნეობაში ჩაიდება.**

ახალ გეგმას უკვე მოჰყვა ექსპერტთა შეფასებები.

– 1000-ლარიანი ვაუჩერების გაცემით, ხელისუფლება თავისუფალი ეკონომიკის პრინციპზე უარს ამბობს, – ასე აფასებს commersant.ge-სთან საუბარში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკის ექსპერტი აკაკი ცომაია მთავრობის ახალ ინიციატივას.

ცომაიას თქმით, 1000–ლარიანი ვაუჩერების გაცემა 7-მილიარდიანი ბიუჯეტის ფონზე სავსებით რეალისტურია, თუმცა ამით საქართველოს ხელისუფლება პროტექციონიზმს ირჩევს და თავისუფალ ეკონომიკაზე უარს ამბობს, ამ გზით კი ეკონომიკა ვერ განვითარდება.

რაც შეეხება სოფლის მეურნეობაში 4 წლის განმავლობაში 4 მილიარდი ლარის ჩადებას, რასაც ასევე ითვალისწინებს მთავრობის ახალი პროგრამა, ცომაიას შეფასებით, ეს თანხა საკმარისი არაა, რადგან საქართველო კონკურენციას ვერ გაუწევს იმ ქვეყნებს, სადაც სოფლის მეურნეობა განვითარებულია. ცომაიასთვის ასევე გაურკვეველია, რა სტრატეგიის შედეგად აპირებს ხელისუფლება 4 წლის განმავლობაში 4 მილიარდის ინვესტიციის მოზიდვას.

– მთავრობის ახალი გეგმა ოპოზიციასთან შეჯიბრია, – ამ განცხადებას commersant.ge-სთან „ახალი ეკონომიკური სკოლის" პრეზიდენტი პაატა შეშელიძე აკეთებს. მისი თქმით, ის ქვეყნის ახალი პრემიერ–მინისტრისგან უფრო მიზანმიმართულ და გრძელვადიან პროგრამას ელოდა.

შეშელიძის განმარტებით, 1000-ლარიანი ვაუჩერების დარიგებით საქართველოს ხელისუფლება თავისუფალ ეკონომიკაზე უარს ამბობს, ვინაიდან ვაუჩერების დარიგება ფულის ერთი ჯიბიდან ამოღებისა და მეორე ჯიბეში ჩადების პრინციპია. „მათ, ვისი ჯიბიდანაც ფულს ამოიღებენ, სხვა გზა, გარდა ქვეყნის დატოვებისა, არ ექნებათ", – აცხადებს შეშელიძე. მისივე თქმით, 1000-ლარიანი ვაუჩერების დარიგების ნაცვლად უმჯობესი იყო ხელისუფლებას საშემოსავლო გადასახადი შეემცირებინა.

◉ დედაქალაქი

# რისთვის და ვის ხარჯზე „ზოგავენ" თანხებს?

## ბიუჯეტი ნაციონალების ყულაბაში გადაამისამართეს

**მუნიციპალური ბიუჯეტები წინასაარჩევნო რელსებზე შეაყენეს. დედაქალაქის ბიუჯეტის მთელი რიგი ხარჯები სასწრაფოდ გადაითამაშეს და ამომრჩევლის გულის მოსაგები პროექტებისკენ მიმართეს. ასე რომ, თითქმის 650 მილიონი „ნაცმოძრაობის" საარჩევნო ყულაბისკენ გადამისამართდა.**

დედაქალაქის ბიუჯეტში მორიგი ცვლილებები ორი დღის წინათ შევიდა. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში აცხადებენ, რომ ბიუჯეტი არ შეცვლილა და იგი კვლავ 648 მილიონი ლარია. თუმცა, შეინიშნება გარკვეულ პროგრამებში გადანაწილება.

ეს თანხები გადანაწილდება სპორტისა და განათლების პროგრამებზე. მაგალითად, 2015 წელს ტარდება ახალგაზრდული ოლიმპიადა და ამისთვის საჭიროა თანხები. ასევე შეკეთდება რამდენიმე ბაღი.

რაც შეეხება ოპოზიციის შენიშვნას იმის თაობაზე, რომ სოციალური პროგრამების დაფინანსება შემცირდა, თამაზ შოშიაშვილის განცხადებით, ეს არაადეკვატური განცხადებაა.

**„დედაქალაქის ბიუჯეტში სოციალური ხარჯები არ შემცირებულა. ის პროგრამა, რომელიც აფინანსებდა დაზღვევას, 2012 წლის სექტემბრიდან ყოველი მეორე მოქალაქე იქნება დაზღვეული ცენტრალური ბიუჯეტიდან და აქედან გამომდინარე, თანხები გათავისუფლდა",** – განმარტა თამაზ შოშიაშვილმა.

„ქრისტიან-დემოკრატი" ჯაბა სამუშია დედაქალაქის მთავარ ფინანსურ დოკუმენტში შეტანილ ცვლილებებს არასამართლიანს უწოდებს. მისი აზრით, ეს ცვლილებები არის ნათელი მაგალითი იმისა, თუ როგორ სურს „ნაციონალურ მოძრაობას", რომ ქალაქის ბიუჯეტი პარტიის ბიუჯეტად აქციოს. ცვლილებები პირდაპირ არის მიმართული იქითკენ, რომ დაფინანსდეს ის მუხლები, რომლებსაც „ნაციონალური მოძრაობა" წინასაარჩევნოდ გამოიყენებს.

**„ეს არის, მაგალითად, შიდა გზებზე ასფალტის დაგება, სკვერების მოწყობა, რის შესახებ დაპირებებსაც იძლევიან „ნაციონალური მოძრაობის" დეპუტატები. რაც ჩვენთვის ყველაზე მიუღებელია, არის ის, რომ ეს ყველაფერი კეთდება სოციალური პროგრამების ხარჯზე. დაახლოებით 2,5 მილიონი ლარი აკლდება სოციალური მუხლის დაფინანსებას და ეს თანხები პიარისთვის საჭირო მუხლებზეა გამოყენებული,"** – განაცხადა სამუშიამ.

თანხა ასევე აკლდება ისეთ გრძელვადიან პროექტებს, როგორიცაა ავარიული შენობანაგებობების გამაგრება და პროექტი „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე".

საკრებულოს ოპოზიციას არც მერიის მიერ ჩატარებული ტენდერები მოსწონს და ამიტომ გამოდის ინიციატივით, რომ თბილისის მერიის სატენდერო კომისიებში ოპოზიციის ჩართულობა გაიზარდოს.

**„ჩვენ დიდი ხანია, ვსაუბრობთ, რომ თბილისის მერიის სატენდერო პოლიტიკა გადასახედია, რადგან მასში ბევრი ხარვეზია. საჭიროა გაძლიერდეს ამ კომისიის ხარისხი და შინაარსი და ამისთვის აუცილებელია გაიზარდოს პოლიტიკური ოპოზიციის ჩართულობა ამ პროცესში",** – განაცხადა დეპუტატმა ზაზა გაბუნიამ.

მისი თქმით, ამას სჭირდება უმრავლესობის პოლიტიკური ნება და თუ ხელისუფლებას სურს, რომ სატენდერო კომისიების ირგვლივ არ არსებობდეს კითხვის ნიშნები, ამ შეთავაზებას უნდა დათანხმდეს.

**ეკა ბაქრაძე**
For.ge

◉ კადრები

# მინისტრთა კაბინეტის ახალი შემადგენლობა პარლამენტს უკვე გადაეგზავნა

**მინისტრთა კაბინეტის ახალი შემადგენლობა საქართველოს პრეზიდენტმა პარლამენტს უკვე გადაუგზავნა. როგორც პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ ბრიფინგზე განაცხადა, მინისტრთა კაბინეტში შემდეგი ცვლილებები შევა:** შინაგან საქმეთა მინისტრი თავდაცვის უკვე ყოფილი მინისტრი **ბაჩანა ახალაია** იქნება; ბაჩანა ახალაიას ადგილს განათლების უკვე ყოფილი მინისტრი **დიმიტრი შაშკინი** დაიკავებს, ხოლო განათლების მინისტრი **ხატია დეკანოიძე** იქნება, რომელიც გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელად ცოტა ხნის წინათ დაინიშნა.

ცვლილებები შეეხო ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს – კობა სუბელიანს შეცვლის **დალი ხომერიკი,** რომელიც აფხაზეთის ლეგიტიმურ მთავრობაში განათლებისა და კულტურის მინისტრად მუშაობდა.

როგორც მანანა მანჯგალაძემ აღნიშნა, მთავრობის შემადგენლობასთან ერთად, პარლამენტს წარედგინა მთავრობის ახალი პროგრამაც, რომელიც სამ ძირითად პრიორიტეტს მოიცავს - დასაქმება, სოფლის მეურნეობა და ჯანდაცვის სფერო.

◉ ინფორმაცია

## დათა ახალაიამ თანამდებობა დატოვა

**შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსმა დავით ახალაიამ თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ დაწერა განცხადება. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.**

**როგორც შსს-ს განცხადებაშია აღნიშნული, დათა ახალაიას გადადგომა უკავშირდება ბაჩო ახალაიას შინაგან საქმეთა მინისტრად წარდგენას.**

## რუსეთთან სამხედრო პრობლემებს რუსი მოაგვარებს?



**სამთავრობო ცვლილებები იმის მანიშნებელია, რომ ჩვენ ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება, – ამის შესახებ პოლიტოლოგმა რამაზ საყვარელიძემ განაცხადა.**

**მისი თქმით, შინგან საქმეთა მინისტრის პოსტზე ბაჩო ახალაიას დანიშვნა ახალაიების მიმართ სააკაშვილის განსაკუთრებული ნდობით არის განპირობებული.**

**– როგორც ჩანს, სააკაშვილს შინაგან საქმეთა სამინისტროში უფრო სანდო პირის დანიშვნა სჭირდებოდა. როგორც ცნობილია, ახალაიების მიმართ სააკაშვილის ნდობა უფრო მაღალია, – აღნიშნა საყვარელიძემ.**

**მისივე თქმით, რაც შეეხება დიმიტრი შაშკინის თავდაცვის მინისტრის პოსტზე დანიშვნას, ეს თავდაცვის სისტემის პრობლემების მოგვარებისთვის არ მომხდარა.**

**– განათლების სისტემაში ბევრმა პრობლემამ იჩინა თავი და ამიტომ გადაიყვანეს შაშკინი ამ სამინისტროდან, თორემ თავდაცვის სისტემაში არ იყო ასეთი სახის პრობლემები. ესეც საინტერესო დანიშვნაა. რუსული გვარის კაცი იქნება თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელი, რომელიც ძირითად მეტოქედ რუსეთს განიხილავს, – განაცხადა საყვარელიძემ.**

ინტერპრესნიუსი



განსჯა

# ახალი პრემიერ-მინისტრი — ოპოზიცია იდუმალმა შიშმა შეიპყრო,

## ანუ ეშველება ქვეყანას სააკაშვილის წასვლით?



**მიხეილ სააკაშვილი წავიდა. ვისაც ორიოდე დღის წინ კიდევ ჰქონდა ეჭვი, რომ პრეზიდენტი ხელისუფლების უზურპირებას მოახდენდა და 2013 წლის შემდეგაც საქართველოს უგვირგვინო მეფე იქნებოდა, ყველა ლოგიკით, უნდა გაფანტვოდა.**

**„ვინც პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და აშშ-ის სახელმწიფო მდივნის შეხვედრა კარგად გააანალიზა, ნათლად დაასკვნიდა, რომ კლინტონმა სააკაშვილს ღიად უთხრა, რომ მან ხელისუფლება უნდა გადააბაროს“,** — განაცხადა რამდენიმე დღის წინ ბიძინა ივანიშვილმა, რომელიც ამ სიტყვების წარმოთქმისას, სავარაუდოდ, იმასაც გულისხმობდა, რომ სააკაშვილი ხელისუფლებას მას გადააბარებდა.

თუმცა ივანიშვილი მალე მიხვდება, რომ პოლიტიკურ სცენაზე გამოსვლისას მის მიერ ვანო მერაბიშვილის მიმართ ნათქვამ ფრაზას, მისი კარგი მენეჯერობის შესახებ, ერთი ძალიან მნიშვნელოვანი და ამ დრომდე ბოლომდე გაუაზრებელი მოსაზრება დააკლო — ვანო კარგი სტრატეგიაცაა.

ივანე მერაბიშვილის შესაძლო პრემიერობაზე ჯერ კიდევ გასულ წელს ალაპარაკდნენ, თუმცა ეს ცვლილება მხოლოდ ახლა განხორციელდა. იმის მიუხედავად, რომ თითქოს ეს საკადრო გადაადგილება მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო, პოლიტიკოსების მნიშვნელოვანი ნაწილი მზად არ აღმოჩნდა კვალიფიციური კომენტარების გასაკეთებლად და ვერც ექსპერტების უმეტესობამ შეძლო ამ ფაქტის სათანადოდ შეფასება. არა და, ახლა მთავარი ის კი არაა, რა შეფასებას აკეთებს მერაბიშვილის რეფორმებთან ასოცირების შესახებ დავით დარჩიაშვილი და მიესალმება თუ არა შს მინისტრის გაპრემიერებას პალიკო კუბლაშვილი. არამედ მთავარი კითხვა ასე უნდა დასმულიყო — რატომ ახლა? და რაში სჭირდებოდა ეს საკადრო ცვლილება ან თავად მერაბიშვილს ან მიხეილ სააკაშვილს, რომელმაც 2013 წელს პოსტი უნდა დატოვოს და დატოვებს კიდეც.

ეჭვის თვალსაზრისით, თითქოს საფუძველს მოკლებული არ არის რამაზ საყვარელიძის მიერ „ჯი-ეჩ-ენთან“ გაკეთებული კომენტარიც, ხელისუფლებაში შიდა დაპირისპირებისა და სააკაშვილის მიერ მერაბიშვილის მოშორების შესახებ.

**„პრემიერ-მინისტრი არის პრეზიდენტის თანაშემწე. პრეზიდენტს შეუძლია შეაწყვეტინოს სხდომა და თავად წაიყვანოს. მახსენდება ერთი ფრაგმენტი - როდესაც ედუარდ შევარდნაძემ სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან გადადგომის შესახებ განაცხადა, მიხეილ გორბაჩოვმა აუდიტორიას უთხრა - მე მის ვიცე-პრეზიდენტად დანიშვნას ვაპირებდიო“,** — აცხადებს „ჯი-ეიჩ-ენთან“ საუბარში რამაზ საყვარელიძე.

თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდია. წლებია გვესმის მერაბიშვილი-ადეიშვილის დაპირისპირებაზეც, მაგრამ ყველა, ვინც კი ამ დაპირისპირების შესახებ დაიჯერა და რომელიმე მინისტრს საკუთარი პატივისცემა დაუდასტურა ან ვირის აბანოში აღმოჩნდა ან ბიზნესი დაკარგა ან კიდევ „კაცობაში ჩაჭრილი“ დადის.

საკმაოდ ბევრს ავიწყდება უმთავრესი გარემოება - პირველი ადამიანი, რომელმაც დასავლეთს, კერძოდ აშშ-ის ღიად უთხრა, რომ შევარდნაძის ხელისუფლება მანკიერი და კორუმპირებულიაო იყო ვანო მერაბიშვილი და არა მიხეილ სააკაშვილი.

მაშინ მერაბიშვილს საცემად დასდევდა მოქკავშირის საპარლამენტო უმრავლესობის უმრავლესობა. ვანო მერაბიშვილმა, მიხეილ სააკაშვილმა, ზურაბ ადეიშვილმა, ნოდარ გრიგალაშვილმა, ბესო ჯუღელმა, გიორგი არველაძემ და ლადო ჭიპაშვილმა მიაღწიეს შეთანხმებას ნაციონალური მოძრაობის შექმნის შესახებ და პირველი სერობა გაიმართა ხარაგაულში, ლადო ჭიპაშვილთან. ნაციონალური მოძრაობის შექმნის იდეა კი მის პირველ გენერალურ მდივანს ვანო მერაბიშვილს ეკუთვნოდა. ამიტომაც იმაზე საუბარი, რომ მერაბიშვილი სააკაშვილს გადააგდებს, სისულელეა. გამოვა რომ მერაბიშვილი გადააგდებს და უღალატებს საკუთარ თავს.

და კვლავ მერაბიშვილის შესახებ — ანუ იმ გათვლის თაობაზე, რის საფუძველზეც იგი, სწორედ ახლა, ხდება მთავრობის მეთაური.

მართალია, საყვარელიძე უნდობლობაზე საუბრობს, თუმცა სულაც არაა გამორიცხული, რომ თავად მერაბიშვილს მიელო გაპრემიერების გადაწყვეტილება, რადგანაც ფაქტია, რომ ნაციონალური მოძრაობა „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ სულ უფრო და უფრო მეტ მომხრეებს კარგავს და რეპრესიული მანქანაც დღითი დღე არაეფექტური ხდება. ამის მიზეზებზე ახლა საუბარი არ ღირს, თუმცა ის ყველაზე კარგად სწორედ მერაბიშვილმა იცის.

რამდენად „სასარგებლო“ იქნება მერაბიშვილის გაპრემიერება „ქართული ოცნებისთვის“ ეს ჯერ კიდევ საკითხავია, თუმცა ნაცმოძრაობის ოპონენტები აღიარებენ, რომ „მერაბიშვილი ხელისუფლებისთვის ბოლო იარაღია შექმნილი ჩიხიდან გამოსაყვანად“.

**„ჩანს რომ ხელისუფლებას ძალიან უჭირს და გადაწყვიტეს, რომ ესაჭიროებათ ბოლო იარაღი, რაც ხელისუფლებას ჩიხიდან გამოიყვანს“,** — განაცხადა „ჯი-ეიჩ-ენთან“ საუბარში თინა ხიდაშელმა. ამ ერთი უწყინარი კომენტარით თინა ხიდაშელმა ფაქტობრივად აღიარა, რომ მერაბიშვილს შეუძლია ხელისუფლების ჩიხიდან გამოყვანა.

„ახლა „ნაციონალური მოძრაობა“ უპირატეს მდგომარეობაშია. ამ საკადრო ცვლილებით დიდი დარტყმა მიიღეს ოპონენტებმა. მერაბიშვილის გადაადგილებით იდუმალმა შიშმა შეიპყრო და ერთმანეთის გამომრიცხავ კომენტარებს აკეთებენ.

მერაბიშვილის დანიშვნით ბრძოლა დაიწყო. შესაბამისად, სააკაშვილი საკუთარ და ნაციონალური მოძრაობის მომავალს იმ ადამიანის ხელში ტოვებს, რომელსაც თითქოს ყველაზე მეტად ენდობა. ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, ვანო მერაბიშვილი პარტიის მართვის სადავეებს იბრუნებს, რათა ის გუნდი გადარჩეს, რომელიც თავად შექმნა.

ამ მხრივ კი, ერთი შეხედვით, მისი დანიშვნა დაგვიანებულიც არის, მაგრამ თუ ბიძინა ივანიშვილს დავესესხები, „კარგმა მენეჯერმა ვანომ“ ის დროც უნდა იმყოფინოს, რომელიც არჩევნებამდე დარჩა.

ახლა უკვე სააკაშვილი და ივანიშვილი კი არა, მერაბიშვილი და ივანიშვილი არიან პოლიტიკურ ტატამზე და ორთაბრძოლა უფრო საინტერესო და შინაარსიანი ხდება.

სააკაშვილმა იცის, რომ ვანო თავს არ დაიღუპავს და ისიც იცის, რომ მერაბიშვილის გამარჯვებაზეა დამოკიდებული მისი მომავალი და არა იმაზე - ვის დაამტვრევს ფეხებს ახალაია, ან კიდევ იმაზე მართლაც ზრუნავენ თუ არა განათლებული მომავალი თაობის აღზრდაზე დიმიტრი შაშკინი და მისი მანდატურები.

შემთხვევით არაფერი ხდება ბუნებაში. მერაბიშვილის გაპრემიერებაც იმ კანონზომიერებას ეფუძნება, რომელმაც მმართველი გუნდის გადარჩენა უნდა უზრუნველყოს.

**მინაწერის სახით: ბატონო ბიძინა, პოლიტიკაში ან ადამიანები ქმნიან სისტემას ან სისტემა ქმნის ადამიანს, რომელიც მისი ნაწილი ხდება. ამიტომ თქვენი მოსაზრება, რომ სააკაშვილს თუ მოიშორებთ ქვეყანას ოცნებას აუხდენთ, მცდარია. ამ თემას ნამდვილად არ განვარცობ მხოლოდ იმიტომ, რომ პოლიტიკურ მასტერკლასებს თქვენს გუნდში ისეთი სპეციალისტები ატარებენ, რომელთა კვალიფიკაციაში თქვენს გარდა, მთელ საქართველოს ეპარება ეჭვი.**

გოჩა მირცხულავა,

ჯი-ეიჩ-ენი

წკეპლიკა

# პრემიერი „მოკვდა“, გაუმარჯოს პრემიერს!..

**უყვარს ჩვენს პრეზიდენტს პრემიერ-მინისტრების მოსროლა და ჰე, ახლა! „შევარდნების რევოლუციის“ შემდეგ, ასე ვთქვათ, „პოსტ შევარდნუმ“, ვანო მერაბიშვილი უკვე მეექვსე იქნება (თუ სათვალავი არ მერევა); აქვე სათქმელად, პრემიერთაგან პირველი, ზურაბ ჟვანია მართლა მოკვდა, უბრჭყალებოდ (ნათელში ამყოფოს!)...**

ახალი კანდიდატურის წარმოდგენა მიხეილ მთავარმა, როგორც სჩვევია, მორიგი პომპეზურობით მოაწყო: განიხვნენ დიდებული დარბაზის კარნი (ეს ზიზილპიპილებიანმა ორმა გუშაგმა გააკეთაძ და შემოვიდნენ სამნი: ნიკა გილაური, ვანო მერაბიშვილი და თვით მიხეილ სააკაშვილი (უყვარს გრძელოს სვეკეთილი ქვეყნის პრეზიდენტობანას თამაში და მოკალი, თუ გინდა... რატომ გაუშვებდა „აცირკების“ მორიგ შემთხვევას...ძ.

ასეა თუ ისე, საქმე გაკეთებულია, პირველი სატელეეკარანო გამოხმაურებებიც, უკვე „გაჟღერდა“: საპარლამენტო უარესობის წევრებმა მოასწრეს მომავალი პრემიერისთვის გუნდრუკის კმევა, ერთმა ჭკვიანმა პოლიტოლოგმა კი მოსწრებულად თუ „შესწრებულად“ შენიშნა: მიხეილ სააკაშვილს, რასაკვირველია, განიარაღებული ვანო მერაბიშვილი ურჩევნია შეიარაღებულსო...

მკითხველისა და გაზეთის ნებართვით, წერილს ლექსისფორმიანი შეკითხვით დავამთავრებ:

**ახლა რაც მოხდა, სახუმარო რამე როდია...**
**მოდით, ვიკითხოთ, ჩემიანნო, არჩემიანნოც:**
**პრემიერები, როგორც წყალნი, თუ მიმოდიან!**
**ნეტავ, მიშანი რად რჩებიანო?..**

ბერდია ბედოიძე

ინფორმაცია

# თბილისის მერმა ბორჯომ-ბაკურიანის მიტროპოლიტი სერაფიმე ტყუილსა და ცილისწამებაში დაადანაშაულა



**წმინდა სინოდის სხდომაზე, რომელიც 5 ივლისს გაიმართება, სავარაუდოდ, სტუდია GNS-ის მიერ მომზადებულ სიუჟეტის შედეგად შექმნილ ვითარებაზეც იმსჯელებენ.**

**გადაცემა „კვირის რეპორტაჟში“ პირველ ივლისს გავიდა სიუჟეტი, რომელშიც, გადაცემის წამყვან ნანა ლეჟავას ინფორმაციით, ბორჯომ-ბაკურიანის მიტროპოლიტი სერაფიმე ფარულად არის ჩაწერილი. მიტროპოლიტი ჟურნალისტს უყვება, რომ „საერო პირების მხრიდან, განსაკუთრებით კი გიგი უგულავასგან, პატრიარქის მიმართ ხშირად ადგილი აქვს ხმამაღალ საუბარს და ზოგჯერ ყვირილსაც“.**



**სტუდიის მიერ მომზადებულ სიუჟეტზე პირველი კომენტარი გიგი უგულავამ გუშინ გააკეთა. თბილისის მერმა ბორჯომ-ბაკურიანის მიტროპოლიტ სერაფიმე ტყუილსა და ცილისწამებაში დაადანაშაულა.**

**მიტროპოლიტმა სერაფიმემ კი თბილისის მერის გიგი უგულავას განცხადებაზე კომენტარი არ გააკეთა, რადგან, მისივე თქმით, „ეს უკვე კინკლაობის ფორმას მიიღებდა“.**

**მეუფე მიიჩნევს, რომ „მაესტროს“ ეთერში გასულმა GNS-ის სიუჟეტმა ეკლესიას დიდი დარტყმა მიაყენა და თავად მეუფე ხელისუფლებასთან დააპირისპირა.**



**მიტროპოლიტმა აღნიშნა, რომ ფარულად ხდებოდა მასთან საუბრის ჩაწერა, რისი უფლებაც ჟურნალისტს არ ჰქონდა. მეუფემ აღნიშნა, რომ როგორც ყოველთვის, საუბრობდა იმ საკითხებზე, რაზეც საუბრობს-ხოლმე და არაფერი განსაკუთრებული არ უთქვამს.**

**როგორც გიგი უგულავამ ჟურნალისტებს განუცხადა, ამ სიუჟეტის მხოლოდ ანონსი ნახა და ისიც - Youtube-ზე.**

**„გამახსენდა ერთი მართლმადიდებლური ხატი — მეორედ მოსვლის. ძალიან ნიშანდობლივი და საინტერესო ხატია. მასზე ერთ მხარეს არის ჯოჯოხეთის, ხოლო მეორე მხარეს — სამოთხის გზა და ორივე მიმართულებით პირველ რიგში დგანან სასულიერო პირები. ძალიან დასანანი და სამწუხაროა, როდესაც სასულიერო პირი ასეთი ტყუილისა და ცილისწამების უფლებას აძლევს თავს“, — აღნიშნა გიგი უგულავამ.**

ინტერპრესი

◉ „კანონიერი“ უკანონობა

# „ქართუ ბანკს“ ხელისუფლების მიერ შექმნილი კომპანია იყიდის




**აღსრულების ეროვნული ბიურო აგრძელებს სააღსრულებო წარმოებას ბიძინა ივანიშვილის საქმესთან დაკავშირებით და პროცესი შემდგომ ეტაპზე გადავიდა — ბიძინა ივანიშვილის დაყადაღებულ ქონებაზე აუქციონი გამოცხადდა. ამასთან დაკავშირებით ინფორმაცია აღსრულების ეროვნულმა ბიურომ გაავრცელა.**

„თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გაცემული №4/ა-131-12 და №4/ა-129-12 სააღსრულებო ფურცლების აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით, 2012 წლის 2 ივლისს გამოცხადდა აუქციონი (www.eauction.ge) ბიძინა ივანიშვილის აქციების 100%-ზე სს „ქართუ ჯგუფში“ და აქციების 21.7%-ზე სს „პროგრეს ბანკში“. ბიძინა ივანიშვილის კუთვნილი ზემოაღნიშნული აქციების შეფასება აღსრულების ეროვნული ბიუროს წერილობითი მიმართვის საფუძველზე, განახორციელა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ“, — ნათქვამია აღსრულების ეროვნული ბიუროს განცხადებაში.

განცხადებაში ნათქვამია, რომ ბიძინა ივანიშვილის აქციების 100%-ი სს „ქართუ ჯგუფში“ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ 151 880 661 ლარად, ხოლო აქციების 21.7%-ი სს „პროგრეს ბანკში“ — 3 566 498 ლარად შეაფასა.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, პირველ იძულებით საჯარო აუქციონზე გატანილი ქონების საწყისი ფასია ექსპერტის მიერ დადგენილი საბაზრო ფასის 50%, შესაბამისად აღსრულების ეროვნულმა ბიურომ სს „ქართუ ჯგუფში“ ბიძინა ივანიშვილის კუთვნილი აქციების 100%-ის საწყის ფასად 75 940 330,50 ლარი, ხოლო სს „პროგრეს ბანკში“ კუთვნილი აქციების 21.7% საწყის ფასად — 1 783 249 ლარი დაადგინა. აქვე განმარტებულია, რომ ივანიშვილის მიერ მასზე დაკისრებული თანხის გადახდის შემთხვევაში, უქმდება ყველა სააღსრულებო ღონისძიება, შესაბამისად, წყდება აუქციონის მიმდინარეობა და ქონებაზე დადებული ყადაღაც იხსნება.

მიუხედავად ამ მესიჯისა, რომელიც აშკარად ივანიშვილისკენ არის მიმართული, „ქართული ოცნების“ ლიდერი მასზე დაკისრებული ჯარიმის გადახდას არ აპირებს. ეს მისმა ადვოკატებმა აუქციონის შესახებ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ კიდევ ერთხელ დაადასტურეს.

აღსანიშნავია, რომ თავად ივანიშვილსაც აქვს უფლება, აუქციონში მიიღოს მონაწილეობა, მაგრამ მისი იურისტები განმარტავენ, რომ მას ამის ინტერესი არ აქვს.

შეგახსენებთ, რომ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ „ქართუ ჯგუფის“ და „ქართუ ბანკის“ აქციების 100% ბიძინა ივანიშვილს არ ეკუთვნის და ოთხი უცხოური კომპანიის საკუთრებაშია. რაც შეეხება „პროგრეს ბანკის“ 21.7%-ს, რაც ასევე დაყადაღებულია და აუქციონზე გავიდა, ბიძინა ივანიშვილი ადასტურებს, რომ ეს აქციები მართლაც მისია.

„ქართუ ჯგუფის“ ხელმძღვანელი ნოდარ ჯავახიშვილი ამბობს, რომ „ქართუ ჯგუფის“ მესაკუთრე კომპანიების ნაცვლად რაიმე კონკრეტული განცხადების გაკეთება გაუჭირდება, მაგრამ დარწმუნებულია, რომ უცხოური კომპანიები ამხელა ქონებას ასე ადვილად არ დათმობენ.

**„არ მგონია, უცხოურმა კომპანიებმა ამხელა ქონება ასე ადვილად დათმონ. აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ საქართველო სერიოზულ საერთაშორისო სკანდალში გაეხვევა“,** — აცხადებს ნოდარ ჯავახიშვილი **for.ge**-სთან საუბარში.

ამასთანავე, იგი არ ეთანხმება აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ დაყადაღებული აქციების დასახელებულ ღირებულებას და დარწმუნებულია, რომ არანაირი ექსპერტიზა არ ჩატარებულა.

**„მოგეხსენებათ, ბიძინა ივანიშვილი 74 მილიონი ლარით დააჯარიმეს. მე თუ მკითხავთ, ექსპერტიზის ბიუროს არანაირი შეფასება არ ჩაუტარებია, უბრალოდ ეს თანხა გაამრავლეს ორზე, მიიღეს 150 მილიონი და განაცხადეს, რომ თითქოს ეს არის დაყადაღებული ქონების ღირებულება. ვინაიდან აუქციონზე ქონება შეფასებული ღირებულების ნახევარ ფასად გადის, შემდეგ აღსრულებამ ეს თანხა ისევ შუაზე გაყო და ამ ფასად გაიტანა აუქციონზე. ბიძინას რომ 150 მილიონი ჰქონოდა გადასახდელი, ამ ქონებას 300 მილიონად შეაფასებდნენ, ხოლო 20-მილიონიანი ჯარიმა რომ ჰქონოდა დაკისრებული, ქონებას 40 მილიონად შეაფასებდნენ“,** — ამბობს ნოდარ ჯავახიშვილი.

იგივე პოზიცია აქვს „ქართუ ჯგუფის“ იურიდიული სამსახურის უფროსს ალა კახნიაურს. მისი თქმით, „ქართუ ბანკის“ ღირებულება 120 მილიონი ლარია, „ქართუ ჯგუფის“ ქონების ღირებულების შესახებ ინფორმაცია კი კახნიაურის თქმით, აღსრულების ეროვნულ ბიუროს, მისივე მოთხოვნის საფუძველზე, 2 ივლისს საღამოს შვიდის ნახევარზე მიაწოდეს. იურისტი ამბობს, რომ „ქართუ ჯგუფის“ ქონების ჩამონათვალი 38-გვერდიან დოკუმენტში იყო მოთავსებული, მაგრამ სანამ ეს ჩამონათვალი აღსრულების ეროვნულ ბიუროს მიეწოდა, მანამდე ბიურომ ქონების ღირებულება თვითონ განსაზღვრა.

ნოდარ ჯავახიშვილის მსგავსად, ალა კახნიაურიც დარწმუნებულია, რომ ქონება რეალურად არ შეფასებულა.

**„როდესაც დაყადაღებული ქონების აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ დადგენილი ღირებულება ვნახე, გამიჩნდა ძალიან საფუძვლიანი ეჭვი, რომ ეს არის სასამართლოს მიერ ბიძინა ივანიშვილისთვის უკანონოდ დაკისრებული ჯარიმის ოდენობა. მოგეხსენებათ, ბატონ ბიძინას 74-მილიონიანი ჯარიმა აქვს დაწესებული, ამას ემატება აღსრულების ხარჯები, ამ თანხის 7%-ის ოდენობით და ვღებულობთ სწორედ იმ თანხას, რითაც აღსრულების ეროვნულმა ბიურომ ამ ქონების ღირებულება განსაზღვრა“,** — აცხადებს კახნიაური **for.ge**-სთან საუბარში.

მისი თქმით, ვინაიდან იმ ქონების ღირებულება, რასაც ბიძინა ივანიშვილი საქართველოში ფლობს, მისთვის დაკისრებული ჯარიმის ოდენობაზე ბევრად ნაკლებია, ამიტომ ხელისუფლებას ამ ქონების მეშვეობით აღსრულების დაწყება არ აწყობა. შესაბამისად, ყადაღა დაედო მესამე პირების ქონებას, რომელიც ოდესღაც ბიძინა ივანიშვილთან იყო დაკავშირებული.

ალა კახნიაური აცხადებს, რომ სს „ქართუ ჯგუფმა“ მიმართა სასამართლოს და სარჩელის უზრუნველყოფის ზომის გამოყენება და აღსრულების შეჩერება მოითხოვა.

**„ჩვენ უკვე ჩაგვბარდა სასამართლოს განჩინება, საიდანაც შევიტყვეთ, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებასთან დაკავშირებით ჩვენი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. მართალია, სასამართლომ ჩვენი სარჩელი წარმოებაში მიიღო, მაგრამ ჩვენი ძირითადი მიზანი აღსრულების შეჩერება იყო, თუმცა ცხადია, სანამ სასამართლო სარჩელს განიხილავს, ქონება უკვე გასხვისებული იქნება და სარჩელის დაკმაყოფილებასაც არავითარი აზრი არ ექნება“,** — აღნიშნავს იურისტი.

რაც შეეხება აუქციონზე გატანილი ქონების სავარაუდო შემძენებს, ამასთან დაკავშირებით ალა კახნიაურს აქვს ვერსია, რომ ამ ქონებას არავინ იყიდის, ხოლო, თუ მაინც იყიდეს, ეს ხელისუფლების მიერ შექმნილი კომპანია იქნება. თუ მყიდველი არ გამოჩნდა, ქონება სახელმწიფო საკუთრებაში გადავა. თუმცა ალა კახნიაური აცხადებს, რომ ეს შეიძლება მხოლოდ „ქართუ ჯგუფს“ შეეხოს. რაც შეეხება „ქართუ ბანკს“, ვინაიდან ის კომერციული ბანკია და ქართული კანონმდებლობის თანახმად, არ შეიძლება, რომ კომერციული ბანკის აქციების მფლობელი გახდეს სახელმწიფო, ამიტომ ალა კახნიაური ვარაუდობს, რომ ხელისუფლება ამ ბანკის ყიდვას ვინმეს დაავალებს, „ქართუ ჯგუფის“ ქონებას კი პირდაპირ სახელმწიფოს საკუთრებაში მიაქცევს.

**ნინო ქღენტი**




◉ ინფორმაცია

## „ბაზისბანკი“ ჩინელებმა იყიდეს

**როგორც ცნობილი გახდა, შესაბამისი ხელშეკრულება 28 ივნისს გაფორმდა. ჩინურმა კომპანიამ „ბაზისბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ ციხისთავისა და სხვა აქციონერებისგან აქციების 90% შეიძინა.**

**არსებული ინფორმაციით, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკსა და ბანკის დამფუძნებელ ზურაბ ციხისთავს, ტრანზაქციის დასრულების შემდეგ, აქციების მინორიტარული პაკეტი დარჩებათ. ხელშეკრულების თანახმად, ციხისთავი გააგრძელებს მუშაობას სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ.**

**„ბაზისბანკით“ ჩინური კომპანიის დაინტერესების შესახებ ინფორმაცია რამდენიმე კვირის წინათ გავრცელდა.**

ინტერპრესი

ვითარება

# გუგული კვლავაც „გაინავარდებს“

## ივანიშვილის აშენებულ რაგბის კომპლექსს სააკაშვილი გახსნის?!

**რუსთავის მე-18 მ/რ-ში რაგბის ევროპული სტანდარტების კომპლექსი შენდება. სამი მოედანი, ფიტნეს კაბინეტი, საშხაპეები, გასახდელები, სავარჯიშო ქვიშიანი მოედანი, საშხაპეებში მოწყობილი მცირე აუზები და თითქმის 3 000 კაცზე გათვლილი მაყურებლის ადგილი — ასეთია რაგბის კომპლექსი, რომელსაც რუსთაველებს ივანიშვილი უშენებს.**

„ქართუ ჯგუფში“ შემავალი საქველმოქმედო-სამშენებლო კომპანია „ატუ“ 2011 წლის მარტის თვიდან, რუსთავში რაგბის ევროსტანდარტების კომპლექსს აშენებს. მშენებლობა სექტემბერში დასრულდება. „ატუს“ წარმომადგენლები აცხადებენ, რომ სამუშაოების დასრულების შემდეგ, კომპლექსისთვის საჭირო ყველანაირ ინვენტარს თავად შეიძენენ და აბსოლუტურად აწყობილი კომპლექსის გასაღებს რაგბის ფედერაციას გადასცემენ.

რუსთავში მშენებარე რაგბის კომპლექსს დღის პირველ ნახევარში ვსტუმრობთ. მოედნები თითქმის დასრულებულია, მზადაა მაყურებლისთვის განკუთვნილი ადგილების ყველაზე დიდი ფლანგი. კომპლექსში აშენებულია და დანაწილებულია ადმინისტრაციის ოთახები, გასახდელები და საშხაპეები. იწყება პარკინგისთვის განკუთვნილი ადგილების მოსწორება.

**„კომპლექსი დაახლოებით 4-ნახევარ ჰექტარზეა გაშლილი. ყველაფერი ევროსტანდარტით კეთდება. სამუშაოებს აწარმოებს ასოციაცია „ატუ“. მოგეხსენებათ 2011 წელს შეიქმნა სახელმწიფო ფონდი, რომელიც რაგბის ფედერაციას ეხმარება. ამ ფონდს კი ბიძინა ივანიშვილი აფინანსებს.**

**რუსთავში რაგბის სტადიონის მშენებლობა, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია 4 მილიონი ჯდება. დღეისთვის გახარჯულია 2 მილიონზე მეტი. რაც შეეხება ადგილობრივ ხელისუფლებას, სიმართლე უნდა ითქვას, ხელს არავინ გვიშლის. რაც შეუძლიათ გვეხმარებიან. სტადიონისთვის მიწა მოგვცეს, ასევე, წყლის გაყვანილობა თვითონ გაიყვანეს. გვაძლევენ სხვადასხვა სამშენებლო ნებართვებს და მუშაობაში ხელოვნურ დაბრკოლებებს არ გვიქმნიან.**

**ყველა ხედავს, რომ ქალაქისთვის კარგი საქმე კეთდება. მეც რუსთაველი ვარ და მიხარია, რომ ასეთი კომპლექსი ექნება ჩემს ქალაქს. რაც შეეხება თქვენს კითხვას, თუ ვინ გახსნის საზეიმოდ კომპლექსს, ივანიშვილი თუ სააკაშვილი — მე ვერაფერს გეტყვით. მე ერთადერთი რა მიზანიც მაქვს, ამ საქმის ბოლომდე კარგად მიყვანაა“,** — საუბრობს, საქველმოქმედო-სამშენებლო კომპანია „ატუ“-ს წარმომადგენელი და რუსთავის რაგბის კომპლექსის სამუშაოთა მწარმოებელი ნოდარ ბახტურიძე.



ბახტურიძე კომპლექსს გვათვალიერებინებს. ამბობს, რომ კომპლექსის მშენებლობის ყველა დეტალი რაგბის ფედერაციასთანაა შეთანხმებული.

**„რამდენიმე დღის წინათ რაგბისტებიც გვესტუმრნენ. დაათვალიერეს აქაურობა. ბიჭებს გაუხარდათ, ასე თქვეს, ასეთი რამ ჩვენ არ გვღირსებია-ო.**

**რაგბისტებისთვის აქ ყველა პირობაა შექმნილი. საშხაპეებში ცივი წყლის პატარა აუზები გავაკეთეთ. საერთოდ, თამაშის შემდეგ კუნთები აქვთ დაძაბული და ამ დაძაბულობის მოსახსნელად საჭიროა ასეთი აუზი“,** — გვიხსნის ბახტურიძე.

კომპლექსში მაყურებლისთვის განკუთვნილი ადგილები თითქმის დამთავრებულია. აშენებულია სამთავრობო ლოჟა და კომენტატორების ადგილები. ახლა კეთდება ტაბლო.

ივანიშვილის პოლიტიკაში წასვლის შემდეგ, რუსთავის რაგბის კომპლექსთან დაკავშირებით იშვიათად საუბრობენ ადგილობრივი საჯარო მოხელეები. თუ შარშან კომპლექსის მშენებლობის დასათვალიერებლად დავით კირკიტაძე, რამაზ ნიკოლეიშვილი და ლადო ვარძელაშვილი ჟურნალისტების თანხლებით დადიოდნენ, დღეს ამ თემაზე ზედმეტ ხმაურს ერიდებიან. მშენებლობებს საჯარო მოხელეები უკამერებოდ სტუმრობენ და ათვალიერებენ.

მათაც კარგად ესმით, რომ კომპლექსი რუსთაველი ახალგაზრდების ცხოვრებაში სასიკეთო ცვლილებებს შეიტანს. რაგბის კომპლექსს ყველა პირობა აქვს იმისთვის, რომ შეჯიბრებების გარდა ახალგაზრდა რაგბისტების მოსამზადებელ ბაზად იქცეს.

**„ამას სააკაშვილი რომ აკეთებდეს, აქამდე გადაგვჭამდა თავს. ცხრაჯერ მოვიდოდა და მოიყვანდა ჟურნალისტებს. ისიც არ გამიკვირდება, ამ კომპლექსის გასახსნელად ბიძინას ნაცვლად, სააკაშვილი რომ მობრძანდეს“,** — ამბობს რუსთაველი მზია ნაჭყებია.

**მანონ ბოკუჩავა,**
ქვემო ქართლი

ტურიზმი

# უცხოელს მოყირჭებული უცხოურით ვერ გააკვირვებ!

## „პიაცების“ იმედად განვითარებულ ტურიზმს პერსპექტივა არა აქვს



**დღევანდელი ტენდენციებიდან გამომდინარე, საერთაშორისო მოგზაურები ახალ მიმართულებებს ეძებენ. მათ კარგად აითვისეს ევროპისა და აზიის ქვეყნები და ახალი, განსხვავებული თავგადასავლების ძიებაში არიან. ამ მხრივ საქართველოს აქვს უდიდესი პოტენციალი, გახდეს ტურისტებისთვის ძალიან მიმზიდველი, ვინაიდან საკმაოდ მცირე ფართობის მიუხედავად, აქვს მთები, ზღვა, ულამაზესი და ხელშეუხებელი ბუნება, სხვადასახა კლიმატური ზონა, ეროვნული პარკები და ტყეები, სამკურნალო გარემოთი და მინერალური წყლებით. ამ ყველაფერს თან ერთვის უძველესი ისტორია, მდიდარი კულტურა, ღვინო და სამზარეულო, განსაკუთრებული ქართული სტუმართმოყვარეობა. სწორედ ამიტომ, ტურისტების უმრავლესობა ქვეყანას სტუმრობდა დასვენებისა და რეკრეაციის მიზნით. ასევე — შემეცნებითი, სათავგადასავლო, კულტურული მიზნით.**

თანამედროვე მსოფლიოში ექსტრემალური ტურიზმი მეტად მზარდ და მომგებიან სექტორად ითვლება ტურიზმის ინდუსტრიაში. ექსტრემალური ტურიზმი ვითარდება უნიკალურ ბუნებაში, არ მოითხოვს განვითარებულ ინფრასტრუქტურას. საქართველოს გეოგრაფიიდან გამომდინარე, კანიონები, მღვიმეები, მაღალი მთები, ასევე მდინარეები იძლევა იმის საშუალებას, რომ ტურიზმის ეს სახეობა ქვეყანაში წარმატებით განვითარდეს. ისეთი ცნობილი ტურისტული ქვეყნები, როგორებიცაა ჩილე, აფრიკული ქვეყნები, სწორედ ექსტრემალური ტურიზმის ნიშის არჩევით შემოვიდნენ მსოფლიო ტურისტულ ბაზარზე და დაიმკვიდრეს კიდევაც საკუთარი პოზიცია.

ჩვენთან კი რა ხდება? უნიკალური ბუნება ნადგურდება, ტყეები იჩეხება, კოლხეთის დაცული ტერიტორია სააკაშვილის ლაზიკური ახირების გამო მცირდება, სვანეთში კი „პიაცა“ შენდება.

სწორედ ამიტომ ამბობენ, რომ საქართველოს ტურისტული განვითარების მწყობრად ჩამოყალიბებული გეგმა არა აქვს. არადა, აქ ჩამოსულ უცხოელ ტურისტს ვერც ბათუმის ბულვარით გააკვირვებ და ვერც სვანური „პიაცათი“ (თითქოს ბათუმში არსებული მსგავსი სახელწოდების მოედანი საკმარისი არ იყოს).

როგორც ირკვევა, სვანეთში ჩასულ უცხოელ მოგზაურებს თანამედროვე სტილში მოდერნიზებული შენობები არ ხიბლავთ, იქ მათ სწორედ სიძველეები იზიდავთ. როგორც სასტუმრო „ტიტებში“ აცხადებენ, რეგიონში ხშირად ჩადიან როგორც ესპანელი, ასევე ფრანგი, გერმანელი, ამერიკელი და ჩინელი ტურისტები, რომლებსაც მოდერნიზებული შენობები არ იზიდავთ.

**„აქ ჩამოსული უცხოელი ტურისტები, ძირითადად, სვანური კოშკებითა და მთებით ინტერესდებიან, მათ ამგვარი შენობებით ვერ გააკვირვებ“,** — აცხადებს „ტიტების“ მეპატრონე.

საოჯახო სასტუმრო „მანონის“ მფლობელი კი ამბობს, რომ სვანეთში ძალიან ბევრი საოჯახო ტიპის სასტუმროა და კონკურენციაც ძლიერია. მისი განმარტებით, მათთან ჩასული უცხოელი ტურისტების ნაწილს თანამედროვე შენობა-ნაგებობები არ მოსწონს, თუმცა ადგილობრივები ამ მშენებლობებით თავს ცივილიზებულ სამყაროში აღიქვამენ და რეაბილიტაციის პროცესით კმაყოფილებას გამოთქვამენ.

საქართველოს ტურისტული არც „მესიჯი“ აქვს. TMG Marketing-ის დირექტორი ნიკო თევდორაშვილის აზრით, საქართველო ტურისტებს ვერ სთავაზობს იმ მთავარ გზავნილს, რომლის შედეგადაც უცხოელი ტურისტები არჩევანს საქართველოზე შეაჩერებენ.

**„რატომ უნდა მიანიჭოს უცხოელმა ტურისტმა უპირატესობა საქართველოს და არა რომელიმე სხვა ქვეყანას? ამ მხრივ მე სარეკლამო კამპანიის მთავარ მესიჯს ვერ ვხედავ“,** — აცხადებს თევდორაშვილი „კომერსანტთან“ საუბრისას. მისი თქმით, ჩატარებული კვლევების მიხედვით, უკრაინულ ტურისტულ კომპანიებში დაჯავშნილ ტურებზე საქართველო 10-ეულშიც ვერ მოხვდა.

თევდორაშვილის განცხადებით, ქვეყანას ტურისტების ის კატეგორიაც სტუმრობს, რომელსაც შეუძლია დასვენებისთვის დღეში 5000 ლარი დახარჯოს, საქართველო კი ამ მხრივ მოიკოჭლებს და რუს ან რომელიმე სხვა ქვეყნის ტურისტების „გაკვირვებას“ ვერ ახერხებს.

**გიორგი ბექაური,**
For.ge

ინფორმაცია

# თუშეთის ულელტეხილზე მოთოვა

**თუშეთის ულელტეხილზე მოთოვა, თუმცა მოსულ ნალექს სოფლებისთვის ზარალი არ მიუყენებია, ამის შესახებ „ინტერპრენსიუსს“ ახმეტის რაიონის გამგებელმა კობა მაისურაძემ განუცხადა. მისივე ინფორმაციით, თუშეთის ადმინისტრაციულ ცენტრ ომალომდე მდებარე ულელტეხილზე თოვლი მოვიდა, თუმცა ცივ ნალექს სოფლებისთვის ზარალი არ მიუყენებია.**

**— ომალომდე, ულელტეხილზე თოვლი გუშინ მოვიდა. ამ დილისთვის თოვლი უკვე გადნა. ტემპერატურა დაეცა, მაგრამ მოსახლეობაში რაიმე ზარალი არ გვაქვს, — განაცხადა ახმეტის რაიონის გამგებელმა.**

**ამასთან, მისივე ინფორმაციით, თუშეთში უამრავი ტურისტი, აგრეთვე, „ბოლივუდის“ გადამღები ჯგუფი იმყოფება, რომლებისთვისაც თოვლის მოსვლას და ჰაერის ტემპერატურის დაკლებას ხელი არ შეუშლია.**

ინტერპრესი



ფიქრები ხმამაღლა

**დღეს 27 ივნისია. ერთი თვე გასულა მას შემდეგ... ასე გავიფიქრე თუ არა, მაშინვე შეშფოთებით „შევხედე“ ჩემს თავს, რა შუაშია 27 ?**

სამსახურში მისვლამდე ერთი მიწისქვეშა გადასასვლელი უნდა გავიარო, ახალგაზრდა ქალი, რომელიც აგერ უკვე თითქმის სამი წელია ყოველდღე, დილიდან საღამომდე ზის აქ და გავვლელ-გამომვლელს თავაზიან გასასყიდად შემოთავაზებს ხილ-ბოსტნეულს, ეუბნება კიბეზე ჩამომჯდარ მათხოვარ ქალს: აი, აქ კამერაა დამონტაჟებული, და მათხოვრის გაკვირვებული სახის საპასუხოდ აგრძელებს: არ უნდა იხუზო, არ უნდა ისმაურო... ყურს მივდებ ეს უჩვეულო საუბარი. მეჩქარება და გზას ვაგრძელებ, არ ვიცი როგორ წარიმართა მათხოვრისა და გამყიდველი ქალის შემდგომი დიალოგი, სამაგიეროდ მე დავიტვირთე უცნაური ფიქრით და არა მხოლოდ ფიქრით, გაურკვეველი შიშით და შფოთვითაც ... ახლაც ყურებში ჩამესმის სიტყვები: უცხოეთის აგენტი, მოღალატე, დაპატიმრება, დაყადაღება, გატაცება, ცემა-ტყეპა, — ნუთუ ეს ყველაფერი საინფორმაციო წყაროების ბრალია? და ახლა, ჩემდა გასაკვირად გამახსენდა (ციტატების დამახსოვრება მაინცდამაინც არ მეხერხება!ძ ჯორჯ ორუელის „1984“-დან: **„...არასოდეს შეწყდება თვალთვალი, დასმენა, დაპატიმრება, წამება, დახვრეტა, გაქრობა... ყოველდღე, ყოველწამიერად მოხდება მათი დამარცხება, დისკრედიტირება, აბუჩად აგდება, ტალახსა და ფურთხში ამოსვრა... ჩვენ ვაკონტროლებთ სიცოცხლეს ყველა დონეზე“** (ო'ბრაიენიძ. ეს რა აზრები მოსვლია ცხრაასიანი წლების ამერიკაში მოღვაწე ადამიანს თავში! საკითხავია. თუმცა, საკითხავი უფრო ის არის, მე რატომ უნდა გამხსენებოდა ორუელი? საინტერესოა.

დემოკრატია, კაპიტალიზმი, — რომელი პოლიტიკოსი მე ვარ, მაგრამ მაინც მინდა გავერკვე, რა ხილია ან ერთი, ან მეორე. და თუ შეიძლება მათი ერთდროული თანაარსებობა. **დემოკრატია რომ განვითარდეს, ეს კაპიტალიზმს მოიტანს თუ კაპიტალიზმის განვითარება მოიტანს დემოკრატიას?** ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში აშენებდნენ თურმე ადამიანები ამ დემოკრატიას. აშენებდნენ კი არა, ააშენეს კიდეც! — ამბობენ. თუ კარგი რამ იყო, რატომ აქამდე ვერ დაისწავლეს მისი თვისებები და უნარები ადამიანებმა? გამიფრინდა სადღაც ფიქრი, რა საჭიროა ასე შორეულეთში გამგზავრება, მით უფრო, რომ აგერ დღევანდელი ჩემი ქვეყნის საჭირბოროტო საკითხები, მინდა თუ არ მინდა, თავისკენ მახედებს და კალთაში მებღაუჭება: მომხედე, თორემ მე მოგხედავო, — მემუქრება კიდეც...

თავს ვიმხნევებ და მღელვარე, აფორიაქებული ყოფით სავსე დღეებით გაჯერებული ივნისის თვეში ვიცქირები. 2012 წელი დაძაბული წელი გვაქვს ქართველებს, მაგრამ, როგორ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის ვითარება და განწყობა, რაც 27-მა მაისმა შემოიტანა, აგვაზეიმა და გაგვამხნევა. დასანახს აგერ-ებერ მოაზროვნენი ვხედავთ-მეთქი, რომ ვამბობდი, აღმოჩნდა, რომ მთლად ასე როდი ყოფილა საქმე. თურმე, ხალხში არ ჩაფერფლილა თავისუფლების სურვილი და ღირსების გრძნობა. თუმცა, მაინც ვფიქრობ, რომ ნაჩქარევი აღტაცება არ არის საჭირო, სიდინჯე და წინ გახედვას, მე მგონი არაფერი სჯობს. ჯერ ხომ კიდევ მრავლად არიან ადამიანები (საკმაოდ მრავლადაც!ძ, რომლებიც არამც თუ ფიქრობენ, არამედ საქვეყნოდაც კი ცდილობენ დაამტკიცონ თავიანთი საოცრად ალოგიკური მოსაზრებები იმ სახალხო გამოსვლებზე, რომელიც მიეძღვნა „ქართული ოცნების“ არჩევნებისთვის მზადების დასაწყისს: 27 მაისს თბილისში, 10 და 17 ივნისს ქუთაისსა და ოზურგეთში (ამათ მცხეთა-მთიანეთიც რომ მივუმატოთ...ძ, დავინახეთ, როგორ დაძლია ხალხმა შიში და თავისი განწყობა სამზეოზე გამოიტანა. არა მარტო საქართველომ, არამედ მსოფლიომ დაინახა არსებული რეჟიმის წინააღმდეგ აზვირთებული ხალხის კოლონები. ეს ისეთი ფაქტია, რომლის მიჩქმალვა და დაფარვა შეუძლებელია. მაგრამ, რამდენადაც უცნაურად არ უნდა მოგვეჩვენოს, არიან ადამიანები, რომელთაც არც ფიცი სწამთ და არც ბოლო აკვირვებთ, წარმოგიდგენიათ?! ხალხი ხომ მრავლად იყო დემონსტრაციაზეო, ეკითხებიან ასეთებს და კიო, იქნებოდნენ ასე ოცდაათ, ორმოც ათასამდე, ან ცოტა მეტიო (ეს, თუ მეტი არა, ორასათასიან დემონსტრაციაზეა საუბარი!ძ. დემონსტრანტები თურმე კომუნისტები და კომუნისტური ვნებებით დატვირთული ადამიანები ყოფილან, მათ მსვლელობას კი ერთხელ კიდევ დაუმტკიცებია, რაოდენ დემოკრატიული მთავრობა ჰყავს საქართველოს. ახლა დავანებოთ თავი პოლიტიკური შოუების ტელევარსკვლავებს, რომლებიც ნამდვილად „კარგ დროს გვატარებინებენ“ და, რომელთაგან ერთ-ერთმა, ჯანდაცვის „ქართული ოცნებისეულ“ პროექტებზე მოსაუბრესაც კი შეაშველა **„ანუ თქვენ კომუნიზმის აშენება გინდათ, არაო?“** დაჟინებით უმეორა და უმეორა ეს სრულიად უადგილო წინადადება, ლამის წყობიდან გამოიყვანა სიდინჯით ცნობილი პოლიტიკოსი. ასე იყო თუ ისე, მართლაც რომ ეფექტურად ჩაიარა მაის-ივნისის დღეებმა და საზოგადოება ერთხელ კიდევ გააოგნა სამთავრობო პოლიტიკის მოამაგეთა გულგარილმა, ზოგჯერ თავგადაჯერებულმა, მკვეთრმა და ლოგიკას სავსებით მოკლებულმა კომენტარებმა. სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ ამერიკის ცნობილი და ავტორიტეტული პოლიტიკოსის ჰილარი კლინტონის ჩამოსვლამ და მის მიერ გამოთქმულმა შთაბეჭდილებებმა იმედი გაუცრუა ქართველ საზოგადოებას, თუმცა ოპოზიციონერი პოლიტიკოსები ასე როდი ფიქრობენ. გასაგებია ამ უკანასკნელთა დიპლომატიური შეფასება აღნიშნული ვიზიტისა და გასაგებია ხალხის დამოკიდებულებაც: რასაც ჩვენი ხალხი თავად ხედავს და განიცდის, ძნელია ყოველივე ეს ერთბაშად დაანახო ერთი დღით ჩამოსულ, ძირითადად, მთავრობის მასპინძლობის გარემოში მყოფ სტუმარს.

საოცარი, ფერად-ფერადი და ახალ-ახალი შტრიხებით დახუნძლული პოლიტიკური მასკარადი გრძელდება და ჩვენც გაუნელებელი ინტერესით ვადევნებთ თვალყურს ყოველივეს, რომელი ერთი ჩამოვთვალო: ეროვნული გამოცდების წინ ატეხილი აჟიოტაჟი, ამ კომისიის თავმჯდომარის მოხსნასთან და მის ადგილზე ძალოვანი სტრუქტურებიდან მოყვანილი კადრის დანიშვნასთან დაკავშირებით, ბაგრატის ტაძრის არცთუ ხეირიანად გააზრებული რესტავრაცია, ახლად შექმნილი ოპოზიციური პარტიის (კოალიციისძ ლიდერზე, მისი პოლიტიკური საქმიანობის დასაბრკოლებლად გათვლილი ალოგიკური კანონების შემოტანა და დამტკიცება პარლამენტში, აღნიშნული კოალიციის მისამართით კონტროლის პალატის მიერ გამოწერილი ზღაპრული თანხის (ასობით მილიონებზეა საუბარი!ძ ჯარიმები (ამბობენ, რომ დაყადაღების სერიებიც მალე დაიწყებაო!...ძ, მაგრამ იმან, რაც მოხდა გორთან ახლოს, სოფელ მერეთში, ამან მთავრობის წარმომადგენელთა ხელწერა ერთხელ კიდევ დააფიქსირა და ჩვენგან სახელდებული პოლიტიკური მასკარადი მუშტი-კრივითა და სისხლით შეფერა, რამაც საზოგადოების დიდ ნაწილზე უმძიმესი შთაბეჭდილება დატოვა. მე, ერთი რიგითი ჟურნალისტი, მიმდინარე მოვლენებით გაოგნებული, ვზივარ და ჩემთვის ვფიქრობ, **რა იქნებოდა ქართულ პოლიტიკურ არენაზე გვიან, მაგრამ მაინც, ივანიშვილი რომ არ გამოჩენილიყო?** ძალა, რომელიც 2003 წლიდან მთავრობის სახით მოევლინა საქართველოს, ისეთი თავნება, ურჩი, ყოველგვარ ზნეობრივ ჩარჩოებს გადასული, უხეში, ტლანქი, ადამიანური ღირსებების დამთრგუნველი ძალაა, რომ ურთულესი აღმოჩნდა მასთან პოლიტიკაში ცნობილი და საყოველთაოდ დაშვებული საშუალებებით მეტოქეობა. ეს გამოვლინდა ყველგან, ყველა სფეროში,

# რა ხდება დღეს?..



ხალხთან თუ ოპოზიციურ პარტიებთან ურთიერთობაში. თუმცა, რომელ ურთიერთობაზეა საუბარი, ეს არ იყო ურთიერთობა, ეს იყო ძალადობა ყოველგვარი სახელმწიფოებრივი რესურსის გამოყენებით, ხალხისაგან ამოღებული არნახული გადასახადებით, დაყადაღება-დაჯარიმებების ხარჯზე შექმნილი ბიუჯეტის თვითნებურად გამოყენებით... და ეს „ურთიერთობები“ ხშირად სისხლიანი ბატალიებითაც მთავრდებოდა. რა შეიცვალა ივანიშვილის გამოჩენის შემდეგ? დიდი არაფერიო, იტყვის ზოგი. არა, ნამდვილად შეიცვალა. სახელმწიფოს ბიუჯეტით ზურგგამაგრებულ უხეშობას, სიტლანქეს, ძალადობას და ცინიზმს დაუპირისპირდა სამშობლოსა და ხალხის ალალი სიყვარულით გამთბარი, ქველმოქმედებით ცნობილი და მატერიალურად შეძლებული კაცით ზურგგამაგრებული კოალიციური პარტია, რომელშიც თავმოყრილია, უბრალოდ პოლიტიკური პარტიები კი არა, არამედ, ქართული ინტელექტუალური რესურსი.

მოძალადეთა ჯგუფი, ჯერჯერობით, უკან არ იხევს, მაგრამ შფოთვა ნამდვილად მოემატათ. ამ ჯგუფისაგან ბევრ უჩვეულობებს თითქოს შევეჩვიეთ კიდეც, ბევრი რამ ნამდვილად არც გვიკვირს, მაგრამ, მწყინს კი და მეტისმეტადაც, ისინი ხომ ჩემი ტომის ადამიანები არიან? ხალხის უდიდესი ნაწილისაგან რატომ გამოირჩევიან განსხვავებული აზროვნებით? დიახ, გამოირჩევიან ყველაზე და ყველაფერზე უპირატესობის, პრიორიტეტიულობის შეგრძნებით, რაც ვლინდება მათთვის დაკანონებულ არნახულად დიდ ხელფასებში, საგანგებო პრემიებში, ნებისმიერი ყოფით სფეროში ზღაპრული კომფორტით სარგებლობის სურვილით (რასაც კარგადაც ახორციელებენ!ძ და ამით თრგუნავენ არა მხოლოდ რიგით მოსამსახურე ადამიანებს, არამედ თვით შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებულ პროფესიონალებს, სახელოვან მეცნიერებს (თუ დარჩნენ კიდევ ასეთნი!ძ ხალხის საყვარელ ხელოვანებს და ოსტატებს, ადამიანებს, რომლებიც საქართველოს სახეს წარმოადგენენ! არ არის საჭირო „ბალალაიკის პარტია“ და ასეთი ცინიკური ტერმინებისა და სიტყვების გამოყენება, ისედაც ყოველი მათი ქმედება ცინიზმით არის გამსჭვალული. ცინიზმია პოლიტიკურ არენაზე შემოსულ ალტერნატიულ კადრზე განხორციელებული უცნაური და საკვირველი თავდასხმები, რომელთა გამამართლებლად კონსტიტუციაც კი გადააკეთ-გადმოაკეთეს, ახალ-ახალი კანონები მოიგონეს. და ეს მაშინ, როდესაც თავიანთ საქმიანობას მსოფლიო პოლიტიკურ ბაზარზე დემოკრატიის შუქურად ასაღებენ.

დიახ, ბევრი საკვირველი რამ წარმოჩინდა ჩვენს ცხოვრებაში. მოვლენები, რომლებმაც ქართველი ხალხი შეაწუხა და აღაშფოთა, ახალი ხილი როდია კაცობრიობის ისტორიისთვის: მოდიან მოძალადეები, საკუთარი ხალხის დამპყრობლები, იციან, რისთვისაც მოვიდნენ და წასვლასაც არ აპირებენ... ცუდად მთავრდება ასეთი პროცესები...მაგრამ, ესენი ხომ დამპყრობელთა სახით კი არა, ქართველი ხალხის ნებით მოვიდნენ, თითქოს ...

**ყველაზე მეტად, რამაც განმაცვიფრა და თანაც ჩამაფიქრა, ეს არის შეუთავსებლობა... შეუთავსებლობა, ერთი მხრივ, ნიჭის, განათლების და, მეორე მხრივ, ანალიტიკური აზროვნების. შეუთავსებლობა ერთი მხრივ სამშობლოს სიყვარულის და დაცვის სურვილის და, მეორე მხრივ, განხორციელების! ადამიანები, რომლებიც დიდი ძალისხმევით და უზარმაზარი ენერგიით ამ რამდენიმე წლის წინათ სახელისუფლო ორგანოებში მოვიდნენ, არც უნიჭონი იყვნენ და არც გაუნათლებელნი. რა მოხდა, სად დაიკარგა მათი უნარი ხალხის ცხოვრებისა და პოლიტიკური სიტუაციების გაანალიზებისა. რატომ ხდება ის, რაც დღეს ხდება და რა იქნება ხვალ?**

გულნარა სტურუა

ინფორმაცია

## ძლიერმა სეტყვამ ადიგენის რაიონში სამი სოფელი დააზარალა

**ადიგენის რაიონში ძლიერმა სეტყვამ სამი სოფელი დააზარალა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ადიგენის რაიონის გამგებელმა სიმონ პარუნაშვილმა განუცხადა, გუშინ მოსულმა სეტყვამ ლელოვანის, იმერთუბნის და კახარეთის მოსახლეობას სერიოზული ზარალი მიაყენა.**



**„მოსახლეობას გაუნადგურდა მოსავალი. უკვე შექმნილია სპეციალური კომისია, რომელიც სტიქიისგან დაზარალებულ სოფლებში ზარალს აღწერს“, — განაცხადა სიმონ პარუნაშვილმა.**

**ადიგენის გამგებლის ინფორმაციით, სეტყვისგან მიყენებული ზარალის ოდენობა ორ დღეში გახდება ცნობილი.**

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საიდუმლო ცხადი ხდება

**სააკაშვილმა საქართველოს ახალი პრემიერ-მინისტრი დანიშნა. იგი გახდა ყველაზე პოპულარული მინისტრი – შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი ვანო მერაბიშვილი, რომელიც ისედაც დიდი ხანია, სარგებლობს „მთავრობის ჩრდილოვანი თავმჯდომარის“ სახელით. სააკაშვილმა ეს ნაბიჯი გადადგა, რადგან აშკარად ჭვრეტს სირთულეებს მოახლოებულ პარლამენტის არჩევნებთან დაკავშირებით და მათ შორის იმ მიზნითაც, რომ უზრუნველყოს საკუთარი პიროვნების უსაფრთხოებაც.**

მერაბიშვილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სათავეში 2004 წლის დეკემბერში ჩაუდგა. სააკაშვილის დროს ასე დიდი ხნის განმავლობაში თავის პოსტზე არ დარჩენილა მთავრობის არც ერთი წევრი. სააკაშვილს ძალიან უყვარს მინისტრების გადაადგილება. მერაბიშვილი, ამას აღიარებს ოპოზიციაც, კარგი მენეჯერია.

„დაამარცხოს მთავარი მტერი – უმუშევრობა“ – დაავალა შაბათს სააკაშვილმა ახალ პრემიერ-მინისტრს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამის გაკეთება სოფლის მეურნეობის სფეროში. საქართველო მიწათმოქმედთა ქვეყანაა, სამუშაო კი სოფლად არ არის. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ ქართველების ნახევარზე მეტი სოფლის მეურნეობაში იყო დასაქმებული. მაგრამ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ფულს აბანდებენ ძალოვან სტრუქტურებსა და ინფრასტრუქტურულ პროექტებში, ტურიზმში, სოფელი კი გვერდზე დარჩათ.

სააკაშვილმა აღნიშნა, რომ ახალი პრემიერ-მინისტრი სოფელს იცნობს. 1995 წელს მერაბიშვილი სათავეში ჩაუდგა მიწათმოქმედთა უფლებების დაცვის საზოგადოებას. 1999 წლიდან ის არის პარლამენტის დეპუტატი, სათავეში ედგა ეკონომიკურ კომიტეტს. იმ წლებში მოხდა კიდეც დაახლოება სააკაშვილისა და მერაბიშვილისა, რომელიც გახდა გენერალური მდივანი პრეზიდენტის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პარტიისა. ამ პარტიაში კადრების საკითხი მერაბიშვილს ევალებოდა.

საქართველოს საზოგადოებაში ამბობენ, რომ ქვეყანაში არის ხუთეული, რომელიც ყველაფერს წყვეტს – თანამდებობის მიუხედავად. ესენი არიან სააკაშვილი, მერაბიშვილი, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია, თბილისის მერი გიგი უგულავა და იუსტიციის მინისტრი ზურაბ ადეიშვილი. შინაგან საქმეთა სამინისტრო მერაბიშვილის დროს გადაიქცა მახინად, მან გააერთიანა სახელმწიფო უშიშროებაც, მესაზღვრეებიც, სამაშველო სამსახურიც. მაგრამ ეს არის მოქნილი მექანიზმი – საპატრულო პოლიციის რეიტინგი მაღალია, პოლიციის შენობებს აგებენ მინისგან, რითაც ავლენენ რეფორმების გამჭვირვალობას, უფლებებს გასცემენ ქრთამის გარეშე, მესაზღვრეები ლამაზად გიღიმიან, როდესაც გასცემენ პასპორტებს ვიზებზე.



მაგრამ, ოპოზიციონერების სიტყვებით, არის მედლის მეორე მხარეც. შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შექმნილია ოპოზიციაზე თვალყურის დევნების საიდუმლო სამსახურები, ხშირად აჩვენებენ ფარული კამერით გადაღებულ იმ პირთა მოლაპარაკების ჩანაწერებს, ვინც სააკაშვილის ოპონენტად ითვლება. ასევე შეიქმნა სპეციალური ქვედანაყოფები – მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში მათ „ზონდერ-ბრიგადებს „უწოდებენ“. მათ ევალებათ, დაარბიონ ოპოზიციის აქციები. ამ ბრიგადებში გაერთიანებულია ბევრი სპორტსმენი, რომლებიც კმაყოფილებით და ჰონორარის გულისთვის სცემენ ოპოზიციონერებს.

მერაბიშვილი და მისი შინაგან საქმეთა სამინისტრო სააკაშვილის რეჟიმის საყრდენია. ეს საქართველოში იცის ყველამ. როდესაც მერაბიშვილს პრემიერ-მინისტრად ნიშნავს, სააკაშვილს სურს, უზრუნველყოს თავისი უსაფრთხოება. 2013 წელს მას გასდის პრეზიდენტის უფლებამოსილებანი. უკვე მიღებულია შესწორებები კონსტიტუციაში, და ამიერიდან პრეზიდენტის თანამდებობა გახდება ნომინალური. იგი იქნება ერთგვარი არბიტრი მთავრობასა და პარლამენტს შორის. პრეზიდენტის ფუნქციების უმრავლესობა: ჩამოაყალიბოს მთავრობა, დანიშნოს და გაათავისუფლოს მინისტრები, განსაზღვროს ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები – გადადის პრემიერ-მინისტრთან.

თავად სააკაშვილი არ არის წინააღმდეგი, გააგრძელოს კარიერა პრემიერ-მინისტრობით. მაგრამ დასავლელი პარტნიორები მას ეუბნებიან, რომ ეს არ არის კარგი, არ არის დემოკრატიული. ერთგული მერაბიშვილი კი შესანიშნავი გამოსავალია მდგომარეობიდან, თუ მასთან ერთად შეძლებს მოიგოს არჩევნები პარლამენტში, შეინარჩუნოს საჭესთან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. მერაბიშვილის პრემიერ-მინისტრობის დროს სააკაშვილი თავს იგრძნობს სავსებით კომფორტულად.

როგორც ჩვენ გაზეთთან საუბარში რამაზ საყვარელიძემ აღნიშნა: „შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ახალი მთავრობა, ახალი პრემიერი – ეს არის ოპოზიციონერი მილიარდერის ბიძინა ივანიშვილის დამსახურება. ეს არის სააკაშვილის პასუხი ოპოზიციის აქტივობაზე. აი, თუ შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტს დაიკავებს, როგორც ამის შესახებ უკვე საუბრობენ, თავდაცვის მინისტრი ბაჩო ახალაია, რომელიც ცნობილია თავისი სიმკაცრით, მაშინ ქვეყანაში უნდა ველოდოთ ტერორის ტალღას“.

რაც შეეხება თავად ბიძინა ივანიშვილს, ის ამბობს, რომ მას და მის მომხრეებს უკვე ველარაფრით შეაჩერებენ, მათ შორის ნებისმიერი საკადრო გადაადგილებითაც.

ВЗГЛЯД
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

# სააკაშვილი ქმნის პუტინი-მედვედევის ტიპის ტანდემს

**3 ივლისს საქართველოს პარლამენტს წარუდგინეს ახალი პრემიერი და მინისტრთა კაბინეტი. დეპუტატებს ექნებათ ერთი კვირა, რათა მხარი დაუჭირონ მას, მაშასადამე, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსაც, რომელმაც მოახდინა მთავრობის შეცვლის ინიციირება. ამის შესახებ ჩვენ გვაცნობა პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ დავით დარჩიაშვილმა.**

რესპუბლიკური პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა დავით ბერძენიშვილმა კი ჩვენთან საუბარში შენიშნა, რომ ვანო მერაბიშვილის პრემიერად დანიშვნით, სააკაშვილი ცდილობს შექმნას მმართველი ტანდემი პუტინი-მედვედევის ტიპისა და შეინარჩუნოს მდგომარეობა ხელისუფლებაში.

ბერძენიშვილის აზრით, პრეზიდენტი სააკაშვილი მიდის ვლადიმერ პუტინის გზით, მაგრამ, „იმდენად, რამდენადაც ქართული საზოგადოება უფრო დემოკრატიულია, ვიდრე რუსეთისა, სააკაშვილი ამას ვერ შეძლებს“.

დავით ბერძენიშვილი, დიდი ხანია, არის პოლიტიკაში, თავის დროზე თავის ძმა ლევანთან ერთად მან შექმნა რესპუბლიკური პარტია. დღეს პარტია შედის ოპოზიციურ ალიანს „ქართულ ოცნებაში“, რომელსაც ოქტომბრის პარლამენტის არჩევნებზე წაიყვანს ბიძინა ივანიშვილი, ვინაც უკანასკნელ პერიოდში პრეზიდენტის თავის ტკივილად იქცა. ბერძენიშვილის სიტყვებით, „სააკაშვილს ეშინია პოლიტიკური ალტერნატივისა – „ქართული ოცნებისა“ და მისი ლიდერის სახით, ამით აიხსნება მერაბიშვილის დანიშვნაც. ის ხომ პრეზიდენტის უახლოესი გარემოცვიდანაა“. ქართველი პოლიტიკოსი დარწმუნებულია, რომ სააკაშვილი უშვებს შეცდომას: „მას არ გამოუვა ის, რაც გამოუვიდა პუტინს“. და ეს, ბერძენიშვილის აზრით, ცხადი გახდება ოქტომბერში. საქართველოში მთავარი არჩევნები არის არა პრეზიდენტისა, რომელიც გაისად უნდა გაიმართოს, არამედ პარლამენტისა – არჩევნები გვიჩვენებს, თუ როგორი იქნება ქართული ხელისუფლების კონფიგურაცია უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში.

მათ შორის ვისაც ხელისუფლების შეცვლა სურს, არის ექსპრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძეც. ქართული გაზეთის „ასავალ-დასავალისთვის“ მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა: „სააკაშვილი გააკეთებს ყველაფერს, რათა დარჩეს ხელისუფლებაში“. შევარდნაძე ბოდიშს იხდის ხალხის წინაშე იმისთვის, რომ „2003 წელს ხელისუფლება სააკაშვილს გადასცა“. „მაგრამ მაშინ სხვა გამოსავალი არც იყო“, – აღნიშნა ექსპრეზიდენტმა. მან ასევე განაცხადა, რომ „მომავალ არჩევნებში მხარს დაუჭერს მილიარდერსა და ოპოზიციური კოალიციის „ქართული ოცნების“ ლიდერს ბიძინა ივანიშვილს“. „დარწმუნებული ვარ, რომ ივანიშვილი გაიმარჯვებს და შეძლებს დაიწყოს დიალოგი რუსეთთან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესახებ“, – თქვა შევარდნაძემ.

ამ დროს მოქმედი პრეზიდენტის მომხრეებს მიაჩნიათ, რომ სააკაშვილს არ ამოუწურავს სახალხო ნდობის ლიმიტი. დეპუტატმა დავით დარჩიაშვილმა მიუთითა გამოკითხვაზე, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა მოაწყო. მან ჩვენთან საუბარში შენიშნა, რომ მმართველი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერით გამოვიდა რესპონდენტთა 47 პროცენტი, შეკითხვაზე „ხვალ რომ იყოს პარლამენტის არჩევნები, ვის მისცემდით ხმას?“ რესპონდენტების ათმა პროცენტმა უპასუხა – ოპოზიციურ „ქართულ ოცნებას“.

შეგახსენებთ, რომ კოალიციაში ივანიშვილის პარტიის „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ გარდა წარმოდგენილი არიან რესპუბლიკური პარტია, ეროვნული ფორუმი და გაეროში საქართველოს ყოფილი ელჩის ირაკლი ალასანიას პარტია „ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატები“. ამას გარდა, კოალიციაში შევიდნენ კონსერვატიული პარტიისა და ხალხის პარტიის ლიდერები ზვიად ძიძიგური და კობა დავითაშვილი.

НЕЗАВИСИМАЯ
ГАЗЕТА

## დედამიწის ზურგზე



**გაეროში ჩაშალეს იარაღით ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების პირველი განხილვა, რამაც შეიძლება რუსეთს ზიანი მიაყენოს**

მოსკოვს ხელს არ აძლევს ფორმულირებები, რომლებსაც შეუძლიათ ჩაშალონ მისი სამხედრო კონტრაქტები: რუსეთი შეიძლება მიიჩნიონ ადამიანისა და არალეგალი ვაჭრების უფლებათა დამრღვევად. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩინეთსაც აქვთ საპირისპირო მოსაზრებანი, მაგრამ განხილვისთვის წინ კიდევ მთელი თვეა. განხილვის დაწყების პირველი მცდელობა უკვე ჩაიშალა ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის გამო.

* * *

**ბრაზილიელმა თავზეხელაღებულმა მფრინავებმა ჩაამსხვრიეს უმაღლესი სასამართლოს შენობის ყველა მინა**



ბრაზილიის სამხედრო-საჰაერო ძალების ორმა მფრინავმა, რომლებიც აჩვენებდნენ ფრანგული წარმოების თვითმფრინავების სიძლიერეს, ისეთი დაბალი სიმაღლე აიღეს, რომ დამრტყმელმა ხმის ტალღამ ყველა ფანჯარა ჩაამსხვრია ბრაზილიის უმაღლესი სასამართლოს შენობაში. სახლის ფასადს მიაყენეს დაახლოებით 17 ათასი დოლარის ზარალი.

* * *

**ასადმა საჯაროდ გამოთქვა მწუხარება ჩამოგდებული თურქული თვითმფრინავის გამო და განმარტა, თუ რატომ არ მოიხადა ბოდიში**



„მე ასი პროცენტით მწყინს, რომ გავანადგურეთ ეს თვითმფრინავი“, – განაცხადა სირიის პრეზიდენტმა მას შემდეგ, რაც გაჩნდა ხმები მსოფლიო გაერთიანების გეგმების შესახებ ხელისუფლებიდან მისი გადაყენების შესახებ. მან დაგვარწმუნა, რომ თვითმფრინავს არ ჩამოაგდებდნენ, რომ სცოდნოდათ, რომ ის თურქეთისა იყო. ამავე დროს პრეზიდენტმა კვლავ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინციდენტი მოხდა სწორედ სირიის საჰაერო სივრცეში.

* * *

**„ნასამ“ წარმოადგინა კოსმოსური ხომალდის კაფსულა შორეული კოსმოსის დასაპყრობად**

განზრახულია, რომ უახლოესი წელიწადნახევრის განმავლობაში სპეციალისტები იმუშავებენ პილოტირებული აპარატის საბოლოო აწყობაზე და უკვე 2014 წელს მოეწყობა „ორიონის“ პირველი სატესტო გაფრენა – თუმცა ჯერჯერობით ეს იქნება უპილოტო. ხომალდის მეორე ტესტი გაიმართება 2017 წელს, მესამე კი – უკვე ასტრონავტებით ბორტზე – დანიშნულია 2021 წლისთვის.



◎ აკადემია

# დამტკიცებულია 10 უცხოელი წევრი

**ამ დღეებში საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის (სმეა) სხდომათა დარბაზში გაიმართა აკადემიის საერთო კრება, რომელზეც მოისმინეს აკადემიის 2011 წლის მუშაობის ანგარიში (მომხსენებელი აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ოთარ ნათიშვილი).**

აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის წინადადებით საერთო კრებამ ერთხმად დაამტკიცა აკადემიის აკადემიური საბჭოს მიერ უცხოელ წევრებად არჩეული შემდეგი ათი კანდიდატი:

**ჟორეს ალფიოროვი** – რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის (რმაძ აკადემიკოსი, სანქტ-პეტერბურგის სამეცნიერო ცენტრის პრეზიდიუმის თავმჯდომარე, ფიზიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი. სმეა-ის უცხოელ წევრად არჩეულია მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების წარდგინებით, სპეციალობით „ფიზიკა“.

**ლეო ბოკერია** – რმა-ის აკადემიკოსი, რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ა.ბაკულევის სახელობის გულსისხლძარღვთა ქირურგიის სამეცნიერო ცენტრის დირექტორი. სმეა-ის უცხოელ წევრად არჩეულია მედიცინის განყოფილების წარდგინებით, სპეციალობით „კარდიოქირურგია“.

**მიხეილ დავიდოვი** – რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ამავე აკადემიის ნ.ბლოხინის სახელობის ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრის დირექტორი. ჩვენი აკადემიის უცხოელ წევრად არჩეულია მედიცინის განყოფილების წარდგინებით, სპეციალობით „ონკოქირურგია“ („სრ“ ახლახან წერდა ამ სწავლულზე 27 ივნისის ნომერშიძ.




**ელდარ მამედ ოღლი ისმაილოვი** – ბაქოში კავკასიის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი. უცხოელ წევრად არჩეულია საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებიდან, სპეციალობით „გეოეკონომიკა“.

**ბესარიონ მესხი** – დონის როსტოვის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, ამავე უნივერსიტეტის უსაფრთხოების სიცოცხლისუნარიანობისა და გარემოს დაცვის კათედრის გამგე, პროფესორი. უცხოელ წევრად არჩეულია გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილებიდან, სპეციალობით „შრომის დაცვა“.

**ანრი რუხაძე** – რმა-ის ა.პროხოროვის სახელობის ზოგადი ფიზიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, მ.ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. სმეა-ის უცხოელ წევრად არჩეულია მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების წარდგინებით, სპეციალობით „პლაზმის ფიზიკა“.

**მერაბ სარელი** (იზრაელაშვილიძ – ისრაელის ხაიმ შიბას სამედიცინო ცენტრის ონკოქირურგიული განყოფილების პროფესორი. უცხოელ წევრად არჩეულია ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილებიდან, სპეციალობით „ონკოქირურგია“.

**აარონ ჩეხანოვერი** – ისრაელის ტექნოლოგიის ინსტიტუტის პროფესორი, ქიმიის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი. ჩვენი აკადემიის უცხოელ წევრად არჩეულია ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილების წარდგინებით, სპეციალობით „ბიოლოგია“.

**ბჰანუ ჯენა** – ვეინის (მიჩიგანი, აშშძ უნივერსიტეტის ნანობიომეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი. სმეა-ის უცხოელ წევრად არჩეულია ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილების წარდგინებით, სპეციალობით „ნანობიომეცნიერება“.

**გიუნტერ ჰოტცი** – საარლანდის (გერმანიაძ უნივერსიტეტის პროფესორი, ლაიბნიცის პრემიის ლაურეატი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი. ჩვენი აკადემიის უცხოელ წევრად არჩეულია გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილებიდან, სპეციალობით „ინფორმატიკა“ (ჩვენი გაზეთი აგრეთვე წერდა ამ სწავლულზე 3 მაისის ნომერშიძ.

**... რა სასიხარულოა, რომ ასეთ შესანიშნავ ათეულში ოთხი მეცნიერი ქართული გვარისაა! ეს ოთხი და სხვა მრავალი!..**

**თამაზ ებანოიძე**

◎ რედაქციისთვის ნაჩუქარი წიგნები

# „თამაშ-თამაშით“ რვა ათეულთან

რუსთაველის პრემიის ლაურეატობა ტელეფონით მივულოცე. ბავშვივით იყო აღტაცებული: **„ორი ოქროს მედალი მივიღე ჩემს მშობლიურ ქუთაისში: საშუალო სკოლის წარმატებით დამთავრების გამო, ამ 61 წლის წინათ და, ახლა – რუსთაველის პრემიის ოქროს მედალი“.**



ისე, რომ იტყვიან, სამართალმა პური ჭამა, რუსთაველის პრემიაზე ადრეც იყო წარდგენილი გალაკტიონის ცხოვრებისადმი მიძღვნილი სრულიად უნიკალური წიგნისთვის „უცნობი“, მაგრამ გული დაწყვიტეს...

ამჯერად კი მთელი თავისი შემოქმედებისთვის მიენიჭა რუსთაველის პრემია პოეტ **ვახტანგ ჯავახაძეს.**

ეს შემოქმედება კი, თითქმის მთლიანად, ახლახან დასტამბულ ერთტომეულშია შესული, რომლისთვისაც **„ვახტანგური“** დაურქმევია პოეტს.

... აქ მართლაც ყველა ლექსი „ვახტანგურია“, ყველა ლექსი „მისია“, ვერავისას მიამგვანებთ, ორიგინალურია... ირონიულ-პაროდიული სიტყვების თამაში, უბრალოდ და უხმაუროდ თქმა სათქმელისა, რაც მხოლოდ დიდოსტატებს ძალუძთ...

**არც მინდა, ყველას მოვწონდე,**
**არც მინდა, ყველას ვუყვარდე,**
**საკმარისია – ოცამდე,**
**ან კიდევ – ოცდახუთამდე.**
**არ მინდა, ჩემი ტირაჟი**
**ასცილდეს ათი ათასებს,**
**მაქებდნენ პალესტინაში,**
**მაღიარებდნენ მალტაზე.**
**მე მირჩევნია, დიდგორის**
**აღმართზე გავყვე მეგობარს**
**და გზაზე ჩემი სტრიქონი**
**შვილივით შემომეგებოს.**
**და შვილზე მეტად მომენდოს**
**მიწის ყოველი მტკაველი.**
**არ დაიჯერო, პოეტო,**
**არ ითარგმნება ტკივილი.**

ერთტომეული იხსნება ცნობილი პოეტებისა და კრიტიკოსების შეფასებებით. აი, მაგალითად, ემზარ კვიტაიშვილი: **„იგი კრებულიდან კრებულში თავისი გამორჩეული ნიჭის ახალ-ახალ წახნაგებს ავლენს, უაღრესად აქვს გამძაფრებული სიახლის გრძნობა“**. აი, ლევან ბრეგაძე: **„ვახტანგ ჯავახაძის პოეზია სამოციანი წლებიდან დღემდე ჩვენი მეგზურია... მან ინტელექტუალური ძეგლები დაუდგა ენას და გვიჩვენა, რომ განუზომელია ამ ფენომენის შესაძლებლობები“.**

აი, დავით წერედიანი: **„ვახტანგ ჯავახაძე მკითხველის წინაშე თავიდანვე მომწიფებულ პოეტად, სიტყვის ისეთ დასრულებულ ოსტატად წარსდგა, თითქოს ეს მაღალი ოსტატობა თავისით, სულ იოლად მისცემოდეს, ყოველგვარი შრომისა და დაძაბვის გარეშე“.**

ამ შეფასებებს უმალ დაეთანხმება ყველა, ვინც კი „ვახტანგურს“ წაიკითხავს. იგი, ჭეშმარიტად, შენაძენია დღევანდელი ქართული პოეზიისა, რომელსაც, ჩემი აზრით, ისევ ვახტანგ ჯავახაძის თაობა აძლევს ლაზათს და ფერადოვნებას. ამ თაობამ კი, „60-იანელთა“ ბრწყინვალე თაობამ (ვინც კი გაუძლო ცხოვრებასძ რვა ათეულს მიუკაკუნა (ზოგმა გადააბიჯა კიდეცძ,თუმცა, მადლობა ღმერთს „სიტყვასთან თამაში“ ახალგაზრდულად გამოუდით, ერთ-ერთი მათგანია ვახტანგ ჯავახაძე, რომელსაც ამ თვის ბოლოს 80 წელი უსრულდება და „ვახტანგური“, სწორედაც რომ, საუკეთესო საჩუქარია საიუბილეო თარიღისთვის, რასაც წინასწარ ვულოცავთ პოეტს!

# ამორჩეულის ამო სითბო

**გურამ გომართელმა** („კოიამ“ძ მაისში „მოათვინიერა“ 80 წელი და თავისი ჟურნალისტური თუ ბელეტრისტული ნაწერებიდან, ისეთი ამორჩეული გამოსცა („რაც ვნახე, რაც განვიცადე“ძ, მკითხველს რომ აუცილებლად მოჰგვრის სიამოვნებას.




თავად განსაჯეთ: დოდო აბაშიძის, გია ყანჩელის, ზურაბ ლეჟავას, გურამ ლორთქიფანიძის (ლორთქიასძ, ნოდარ დუმბაძის და სხვათა ოსტატურად შესრულებული პორტრეტები, იმერული (გურამს ხომ ფესვი გორისაში უდგასძ თუ თბილისური დარდიმანდულ-სევდიანი ჩანახატები... კი, ასეა: გურამის ქართულ სუფრაზე უზადო მოლხენას შიგადაშიგ სევდა-ცრემლიც ახლავს ხოლმე. ვთქვათ, სამშობლოს ბედუკუღმართობაზე საუბრისას, სამეგობროს ასე უსაშველოდ გაცილების გამო, მშობლებისა და წინაპრების მოგონებისას... სიბერე რომ ძუ მგელივით მიუხტა, „კონცერტივით ბიჭს“, ამასაც ვერ შერიგებია...

**ო, როგორ მიტევს თეთრი სიბერე,**
**მემუქრება და მუშტებს მიღერებს,**
**მე დამადუმა, თვითონ ღიღინებს,**
**საქვეყნოდ ჰყვება, რასაც მიპირებს.**

პოეტური სულის ნიჭიერ კაცს ახალგაზრდობაშიც ბარეორი კარგი ლექსი და მოთხრობა ჰქონდა შექმნილი, რასაც, უკვე ცხოვრების ნაშუადღევს, მიამატა და კრებულისთვის გულდასმით შეარჩია.

**„სიცოცხლისა და სიყვარულის ტვიფარი აზის გურამ გომართელის თითოეულ მოთხრობას, ლექსს, ჩანახატს, ესკიზს, თითოეული სიტყვა თუ ფრაზა განმსჭვალულია მეგობრობის განსაკუთრებული გრძნობით, რომელსაც ვერ შეიძენ, ვერ მოიპოვებ, ვერ მოიხვეჭ, თუ ის შენში არ არის, თუ თან არ დაგყვა, როგორც გენეტიკური ნიშანი“,** – წერს წიგნის წინასიტყვაში ივანე ამირხანაშვილი.

სწორადაც წერს. გურამ გომართელს დღემდე მართლაც სამეგობროდ გადაშლილმა გულმა გააძლებინა.

# დარდიანი კაცის ლექსები

თავს იხალისებს, თორემ ისე ვეება დარდს დაატარებს **გენო კალანდია** – ნაღდი კოლხი, გამორჩეული პოეტი და მამულიშვილი, ერთ დროს აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, მთელი ქართული შემოქმედებითი ინტელიგენციის მასპინძელი თვალწარმტაც სოხუმში, აგერ, ოცი წელიწადია კი დევნილი და თავის კუთხე-კუნჭულს, ფესვებს მონატრებული.

სწორედ **„ფესვები“** დაურქმევია გენოს ახალი, მოზრდილი, მშვენივრად გამოცემული კრებულისთვის, რომელშიც კიდევ უფრო მშვენიერი ლექსებია მოთავსებული სხვადასხვა ფორმისა და შინაარსის, სხვადასხვა განწყობისა და შთაგონების – ულამაზეს ლირიკას ჩანაცვლებული კოლხური მელოდიები, აფხაზეთის ტრაგედიის სულისშემძვრელი ქრონიკები:

**ჟანგისფერია ჩემი სიცოცხლე,**
**ჩემი ცხოვრებაც ჟანგისფერია!**
**სანამ დევნილის სახელით ვივლი,**
**სანამ ათონის კარი და მღვიმე,**
**ვით მკვდართა სახლი იქნება ჩემთვის, –**
**ჟანგისფერია ჩემი სიცოცხლე, –**
**ჩემი ცხოვრებაც ჟანგისფერია!..**
**ერთი მაგარი ლხინის გარეშე,**
**ყანწის, თამადის, ლექსის გარეშე,**
**ჯუმა ახუბას, თარბას გარეშე,**
**ჟანგისფერია ჩემი სიცოცხლე, –**
**ჩემი ცხოვრებაც ჟანგისფერია!**

... იმ დღეს ეს წიგნი გახდა საფუძველი, რომ აფხაზეთიდან დევნილ ინტელიგენციას სოხუმის უნივერსიტეტში შეხვედრა გაემართა თავის სახელოვან თანამემამულესთან, ძვირფას გენოსთან და კიდევ ერთხელ გამოეცხადებინა მისთვის გულითადი პატივისცემა. შეხვედრას სხვაც ბევრი ესწრებოდა – არასოხუმელი, თბილისელი მეგობრები, რომლებმაც კარგად იციან გენო კალანდიას ნიჭისა და პოეტური შესაძლებლობების ფასი. აკი, კრებულში დაბეჭდილ მუხრან მაჭავარიანის 2005 წელს დაწერილ წინასიტყვასაც ასე ჰქვია: „პოეტიც, კაციც!“




**„... ახლა, როცა საქართველოში ასეთი აღზევებაა ლოტოფაგთა! ახლა, როცა გარეწარნი ყოველნაირად ცდილობენ, ქართველებს დაავიწყონ წარსული! დაავიწყონ სამშობლო! დაავიწყონ დედა! დაავიწყონ მამა! გადაახვნევინონ წინაპართა საფლავნი... განსაკუთრებულ ჟღერადობას იძენს გენო კალანდიას პოეზია. იგი არა მარტო პოეტია ღირსეული, არამედ კაცური კაციცაა!“** – წერდა ბატონი მუხრანი!

დასტურ რომ, ასეა!

**ვილენ მარდალეიშვილი**

ჭადრაკი

# ფიდეს რჩეულთა შორის

**ორი თვის წინათ, როცა ფიდემ მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა რეიტინგები გამოაქვეყნა, ნანა ძაგნიძეს საუკეთესო ათეულში მე-6 ადგილი ეკავა. ქართველმა დიდოსტატმა ეს მაჩვენებელი (2547) ივლისისთვისაც შეინარჩუნა. ჩვენებურის გარდა, ათეულში არიან: იუდით პოლგარი (უნგრეთი, 2709), ჩინელი მსოფლიოს ჩემპიონი ჰოუ იფანი (2617), ანა მუზიჩუკი (სლოვენია, 2606), ჰამფი კონერუ (ინდოეთი, 2598), ჟაო სიუ (ჩინეთი, 2556), ორგზის ევროპის ჩემპიონები — კატერინა ლაგნო (უკრაინა, 2537) და ტატიანა კოსინცევა (რუსეთი, 2530), კონტინენტის პირ-**



**ველობების გამარჯვებულები — ვალენტინა გუნინა (რუსეთი, 2533) და ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა, 2525).**

ქართველთაგან ასეულში შედიან: 16. ბელა ხოტენაშვილი (2505ქ, 31. ნინო ხურციძე (2456ქ, 37. ლელა ჯავახიშვილი (2449ქ, 45. ნინო ბაციაშვილი (2434ქ, 63. სალომე მელია (2403ქ, 66. სოფიკო გურამიშვილი (2400ქ, 71. სოფიკო ხუხაშვილი (2391ქ, 81. თამარ წერეთელი (2383ქ, 82. ნაზი პაიკიძე (2381ქ, 83. მერი არაბიძე (2379ქ, 100. მაია ლომინეიშვილი (2360ქ.

ვაჟთა ასეულში ორი წარმომადგენელი გვყავს — ბაადურ ჯობავა (2730ქ და მიხეილ მჭედლიშვილი (2656ქ. ჯობავამ ორი თვის განმავლობაში 9 პუნქტი მოიმატა და 25-დან 21-ე ადგილზე გადაინაცვლა. მჭედლიშვილმა პუნქტები შეინარჩუნა, მაგრამ ახლა მეასე-ასმეერთე ადგილებს ინაწილებს. ათეული კი ასეთია: მაგნუს კარლსენი (ნორვეგია, 2837ქ, ლევონ არონიანი (სომხეთი, 2816ქ, ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი, 2799ქ, ტეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი, 2788ქ, ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი, 2780), სერგეი კარიაკინი (რუსეთი, 2779ქ, ჰიკარუ ნაკამურა (აშშ, 2778ქ, ფაბიანო კარუანა (იტალია, 2775ქ, ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი, 2770ქ, ვასილი ივანჩუკი (უკრაინა, 2769ქ.

**ლექსო ცინცაძე**

ჩოგბურთი



# პირველი ბარიერი დაძლია

**იტალიურ ბიელაში დაიწყო ჩოგბურთელ ქალთა 100.000-იანი საერთაშორისო ტურნირი.** ლონდონის ოლიმპიადის ლიცენზიატმა ანა ტატიშვილმა, რომელიც შეჯიბრებაში მესამე ნომრად არის განთესილი, ასპარეზობის სტარტზე რუს ვალერია სავინიხს სძლია — 3:6, 6:3, 6:3. წყვილთა ტურნირში ტატიშვილი სერბ ვესნა დოლონცთან ერთად ითამაშებს. წლევანდელი ოლიმპიური თამაშების წინ ქართველი ჩოგბურთელისთვის იტალიური ტურნირი გენერალური რეპეტიცია იქნება.

ლიცენზიატი

# გია მაჭავარიანი

**ხარაგაულში დაიბადა და გაიზარდა. ყმაწვილობისას სპორტის მრავალ სახეობაში სცადა ბედი. გული დიდხანს ვერაფერს დაუდო. 15 წლისა, ბიძის რჩევით, ვაკის ძალოსნობის დარბაზში აღმოჩნდა. საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელ ავთანდილ გახოკიძესთან დაიწყო ვარჯიში. სამი წელიწადი შედეგი არ ჰქონია, რადგან მაინცდამაინც არც რკინისკენ მოუწევდა გული. 2003 წელს საქართველოს ჩემპიონატში ვერცხლის მედალი მოიპოვა, რაც შემობრუნების წერტილად იქცა — მეტი გულისყურით მოეკიდა მწვრთნელის რჩევებს და მონდომებით ასრულებდა ოსტატის ყველა დავალებას. 2004 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზა და საქართველოს ნაკრებს ათენის ოლიმპიადისთვის სალიცენზიო ქულებიც მისცა. მომდევნო წლებშიც არაერთხელ მოსინჯა ძალები მნიშვნელოვან ტურნირებში, მაგრამ კვარცხლბეკზე ვერა და ვერ შედგა ფეხი.**

— ჩემთვის განსაკუთრებით წარმატებული 2011 წლის სეზონი აღმოჩნდა, — გვითხრა გია მაჭავარიანმა. გაზაფხულზე ყაზანში ჩაველი ევროპის ჩემპიონატზე. კარგად ვიყავი მომზადებული და მწვრთნელებიც მედალს მიგეგმავდნენ. ქომაგებიც არ დამიღალატებია — ექვსიდან ხუთი ცდა გამოვიყენე. ატაცსა (183 კგძ და აკვრაში (217 კგძ მცირე ვერცხლის მედლები მოვიპოვე, ორჭიდშიც 400 კილოგრამით მეორე ადგილი დავიკავე.



**— ატაცში მესამე ცდა მსაჯებმა რატომ არ ჩაგითვალეს?**

— ფეხის წვერებზე აიწიეო — ეს, უბრალოდ, საბაბი იყო: რუსეთელმა ხაჯიმურატ აკაევმა, რომელსაც ტურნირის ფავორიტად მიიჩნევდნენ, ატაცი 185 კილოთი დაიწყო, მაგრამ ისე გაუჭირდა, ეტყობა, მასპინძლებმა იფიქრეს, შესაძლოა, მეტი წონა ვერ დაძლიოსო. მაშინ მეორე ოქრო მე დამრჩებოდა, რადგან პირადი წონით აკაევზე მსუბუქი ვიყავი. ორგანიზატორთა საბედნიეროდ, იქაურმა ძალოსანმა 195 კილო აიტაცა და დამსახურებულად დაიკავა პირველი ადგილი.

**— 2011 წლის პარიზის მსოფლიოს ჩემპიონატსაც ხომ ვერ გაიხსენებ?**

— საფრანგეთის დედაქალაქში 187 კილოგრამი ავიტაცე და 1999 წელს მუხრან გოგიას მიერ დამყარებული საქართველოს რეკორდი გავიმეორე. თან ამ მოძრაობაში მეორე ბრინჯაოს მედალი მერგო. მსგავსი წარმატებისგან არც ორჭიდში ვიყავი შორს. პირველ-მეორე ადგილები ხაჯიმურატ აკაევმა და დმიტრი კლოკოვმა დაიკავეს. 209 კილოთი მესამეზე ვიყავი. ერთადერთ უკრაინელ ალექსეი ტოროხტის ჰქონდა ორი ცდა დარჩენილი. ატაცში მას 6 კილოთი ვაჯობე და პირადი წონითაც ნაკლები ვიყავი. ამ უკანასკნელმა გარისკა — 229 კილოგრამი შეუკვეთა, რაც მანამდე არასდროს დაუძლევია. მეორე ცდა შედეგიანი აღმოჩნდა და 410 კილოთი ბრინჯაოც დაიმსახურა. არაფერია, ლონდონში ვეცდები რევანშის აღებას.

გია მაჭავარიანის სიტყვები არ ტყუილი ქადილია, რაც ამას წინათ ზუგდიდში საქართველოს ჩემპიონატზეც დაამტკიცა: 192 კილოგრამი აიტაცა და ამ მოძრაობაში ქვეყნის რეკორდი დაამყარა, აკვრაში 225 კილოგრამიანი შტანგა დაიმორჩილა და ორჭიდში 117 კილოგრამი მოაგროვა, რაც საქართველოს ახალი მიღწევაა 105 კილოგრამ წონით კატეგორიაში.

**— ლონდონის ოლიმპიადისთვის მონდომებით ვემზადები. ნაკრების წევრებს ფედერაციამ, სპორტის სამინისტროს და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობამ წვრთნისა და აქტიური დასვენებისთვის ყოველგვარი პირობა შეგვიქმნა. ყველაფერს გავაკეთებ საიმისოდ, რომ ბრიტანეთის დედაქალაქში ქომაგთა იმედები გავამართლო.**

**ვაჟა დანელია**

სტუდენტური მერიდიანი

# რა დროს დასვენებაა

**ევროპის ჩემპიონატის დღეებში ცხარე ბატალიები გაჩაღდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხელოვნურსაფარიან სარბიელზე, სადაც ქვეყნის ამ ერთ-ერთი წამყვანი უმაღლესი სასწავლებლის სპორტისა და ხელოვნების ცენტრისა (დირექტორი — ზაურ ფხალაძე) და სტუდენტური თვითმმართველობის (პრეზიდენტი — გიგა სორდია) ეგიდით მოეწყო შიდასაუნივერსიტეტო ტურნირი მინი-ფეხბურთში.**

აღსანიშნავია, რომ 20 მონაწილე გუნდიდან 4 უცხოელი სტუდენტებით იყო დაკომპლექტებული.

რაც შეეხება მთავარ პრიზს, იგი ზედიზედ მეორედ მოიპოვა „CCCP“-მა, რომელმაც ფინალში „რედ ბულს“ სძლია. მესამე პრიზიორი „რეალი“ გახდა.

ტრადიციისამებრ, ორგანიზატორებმა გამოავლინეს ასპარეზობის გამორჩეული მონაწილეები: **საუკეთესო მეკარე** — რევაზ მანჯგალაძე („CCCP“, მედიცინის ფაკულტეტის I კურსიძ, **ბომბარდირი** — ზვიად ბლიაძე („რედ ბული“, ფიზიკური მომზადებისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის II კურსიძ, **ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი** — თეგა სორდია („CCCP“, ფიზიკური მომზადებისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის II კურსიძ.

დავძენთ, რომ, როგორც ყოველთვის, შეჯიბრების მაღალ დონეზე წარმართვაში აქტიური წვლილი შეიტანეს სპორტისა და ხელოვნების ცენტრის თანამშრომელმა, სამედიცინო უნივერსიტეტის ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელმა ვახტანგ ბაქანიძემ და სტუდენტური თვითმმართველობის სპორტის მიმართულების ხელმძღვანელმა, ფიზიკური მომზადებისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტმა გიორგი ჭინჭარაულმა.

**გიორგი შოთაძე**





„ევრო 2012“-ის გამოძახილი

# ენის „სიამაყე“

**რუსული მდიდარი ენა რომაა, ამაზე არავინ დავობს. საქვეყნოდაა ცნობილი ისიც, რომ მრავალი, წმინდა წყლის რუსული წარმოშობის სიტყვა, მაგალითად, „ბოლშევიზმი“, „პერესტროიკა“, „სპუტნიკი“ და სხვ. სხვადასხვა ენაში პირდაპირ, ყოველგვარი არსობრივი ადაპტირების გარეშე შევიდა. სულ რამდენიმე კვირის წინათ რუსეთმა, როგორც ჩანს, მსოფლიოს სხვა ენათა პალიტრა კიდევ ერთი „სამამულო წარმოების“ სიტყვით გაამდიდრა, რომელიც, რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს, ახლახან დასრულებულ ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატს უკავშირდება.**

საქმე ის არის, რომ რუსეთის ნაკრების თავდამსხმელმა ალექსანდრე კერჟაკოვმა, რომელიც ეროვნული ჩემპიონატის № 2 გოლეადორია, ჩემპიონატში ჩატარებულ სამ თამაშში მეტოქეთა კარში 12-ჯერ დაარტყა, მათ შორის რამდენიმე მეტრიდანაც, რომელთაგან ჩარჩოში... მხოლოდ ერთხელ მოახვედრა, თუმცა მეკარეს ამ ბურთის აღება არ გასჭირვებია. ეს ამბავი, ცხადია, საგანგებოდ რუსეთელმა სპორტულმა ჟურნალისტებმა აღნიშნეს, მაგრამ მერე გაირკვა, რომ კერჟაკოვის „გაფრენები“ არც მათ ინგლისელ კოლეგებს გამოპარვიათ თვალთახედვიდან. შედეგად მათ ხმარებაში სამიზნისთვის სამარცხვინო აცილების აღმნიშვნელი... ახალი სიტყვაც კი შემოიღეს! კერძოდ, იტალიისა და ინგლისის ნაკრები გუნდების შეხვედრის ანგარიშში გაზეთ „გარდიანის“ საიტზე ერთ-ერთი იტალიელი ფეხბურთელის გამაოგნებლად არაზუსტი დარტყმა, ჟურნალისტმა ასე აღწერა: „ბურთი მიიღო დე როსიმ, რომელიც შემოტრიალდა და ექვსი მეტრიდან kerzakoved! ამ შემთხვევაში kerzakov-ი ზმნაა, რომელსაც წარსული დროის ed დამატება აქვს.

იმასაც თუ გავიხსენებთ, რომ ლაპარაკია იმ ეპიზოდზე, როცა დე როსიმ ყოვლად სამარცხვინოდ ვერ გაიტანა გოლი ცარიელ კარში, გასაგები გახდება, რომ ახალი სიტყვით შემკობილ სპორტსმენს სატრაბახო ნაკლებად აქვს.

საგულისხმოა, რომ სიტყვა kerzakov-ს ანტონიმი ჯერჯერობით არა აქვს, თუმცა იგი, შესაძლოა, ronaldo გახდეს, რომელმაც ჩემპიონატში მეტოქეთა კარში 15-ჯერ დაარტყა, აქედან 14-ჯერ ბურთი სამიზნეში წავიდა.

**ირმა ირემაშვილი**



### მოსახლეობა

# რამდენს ვიწონით?

**ბრიტანელ მეცნიერთა მიღწევებმა იქაურ სწავლულებს მსოფლიო აღიარება მოუტანეს. მაგრამ ისინი რის ალბიონელები იქნებოდნენ, ამასთან სახელი კვლევათა უცნაურობებითაც რომ არ გაეთქვათ.**

სამეცნიერო გამოკვლევების უბრალო ჩამონათვალიც კი ღიმილის მომგვრელია: **„ეშინიათ თუ არა იხვებს წვიმის?“, „რთული მოქმედებების შესრულებისას ძუ კატები წინა მარჯვენა თათს ხმარობენ, ხვადები — მარცხენას“, „ღიმილისგან თავს უკეთ არავინ გრძნობს“...** მაგრამ ყველაზე გასაოცარი მაინც ნაშრომია, რომელიც ასეა დასათაურებული: **„ათიდან ცხრა ლონდონური ჭიამაიას სოკოვანი ვენერიული დაავადება სჭირს“.**

ახლახან კი ლონდონის ჰიგიენისა და ტროპიკული მედიცინის ინსტიტუტის თანამშრომლებმა თავიანთი კვლევის მონაცემები გამოაქვეყნეს — მათ დედამიწის მოსახლეობის წონა გამოითვალეს.

მათი მონაცემებით **დედამიწის მოსახლეობის საერთო წონა 287 მილიონი ტონაა.** ამასთან, 15 მილიონი ტონა ჭარბი წონის ადამიანებზე მოდის, 3,5 მილიონი ტონა კი — უკიდურესად მსუქნებზე. 2005 წლის მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებზე დაყრდნობით, პროექტის მონაწილეებმა გამოითვალეს, რომ **საშუალო მოზრდილი ადამიანი 62 კილოგრამს იწონის,** თუმცა კი ამერიკის შეერთებულ შტატებში ეს წონა 80 კილოგრამს სჭარბობს. გარდა ამისა მეცნიერებმა გამოიტანეს დასკვნა, რომ ამერიკელებივით ჭარბი წონა მსოფლიოში ყველას რომ ჰქონდეს, ეს სხეულის მასის საშუალო წონის მქონე ადამიანთა რიცხოვნობის ერთი მილიარდით გაზრდის ტოლფასი იქნებოდა.



„მძიმეწონოსანთა“ პირველ ათეულში აღმოჩნდნენ **კუვეიტი, ხორვატია, ყატარი და ეგვიპტე,** რასაც სპეციალისტები საავტომობილო ტრანსპორტის გავრცელებით ხსნიან, რის გამო ხალხი ფეხით ნაკლებად დადის, ცოტას მოძრაობს.

მეცნიერები იმასაც აღნიშნავენ, რომ დედამიწის მოსახლეობის წონის მომატების პრობლემა არა მარტო მსუქნებს, არამედ მთლიანად კაცობრიობას ეხება. ყველაზე გამხდარი ხალხი კი **ვიეტნამში, ეთიოპიასა და ერიტრეაში** ცხოვრობს, თუმცა კვლევის ავტორები აღნიშნავენ, რომ ამის მიზეზი მარტო ამ ქვეყნების სიღარიბეში არ არის და ყურადღებას **იაპონიაზე** ამახვილებენ: თურმე სავსებით შესაძლებელია, რომ მდიდარიც იყო და სიმსუქნეც არ მოგეკიდოს.

მთლიანად კი „წონადობის“ მახასიათებელი რეგიონიდან რეგიონამდე საკმაოდ განსხვავებულია. თუ ჩრდილოეთ ამერიკაში მოზრდილი ადამიანის საშუალო წონაა 80,7 კილოგრამი, აზიაში ეს მაჩვენებელი 57,7 კილოგრამია. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ აზიელები დედამიწის მოსახლეობის 61 პროცენტს შეადგენენ, მათი წონა კაცობრიობის მთლიანი წონის მხოლოდ 13 პროცენტს შეადგენს.

**ნინო ალექსანდრია**

### ხსოვნა

## მერაბ არველაძე



ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი **მერაბ (რიჟა) არველაძე.**

ბატონი მერაბი საქართველოში ნარკოლოგიური სამსახურის ჩამოყალიბებიდან სიცოცხლის ბოლო წუთამდე იდგა ამ მეტად რთული და მძიმე პროფესიული საქმიანობის ავანგარდში. მან პირადად ბევრი ახალგაზრდა გადაარჩინა და დაუბრუნა საზოგადოებას. ბატონი მერაბი იყო კარგი პროფესიონალი და ერთგული მეგობარი. იგი იყო კაცთმოყვარე, ყველას მიმართ გამოირჩეოდა გულისხმიერებით, ნამდვილი მეგობრული თანადგომით და ყურადღებით. მისი ცხოვრების მანძილზე არ არსებობდა არც ერთი შემთხვევა, რომ მას არ გაეწია სათანადო დახმარება და გვერდში არ დადგომოდა გაჭირვებულ ადამიანს.

ბატონი მერაბის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი კოლეგების და მეგობრების გულებში. მთელი გულით ვიზიარებთ მისი ოჯახის წევრების მწუხარებას. ნათელში ამყოფოს უფალმა ჩვენი მერაბის სული!

---

**რუსუდან ჩხაიძე-კვინიკაძე, თინა ჭიჭინაძე, ჯუმბერ პატიაშვილი, მერაბ, გიორგი ნიკოლაიშვილები, ქეთო, შალვა ზედგენიძეები ოჯახებით, ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**თენგიზ (პოგი) შანიძე**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობს ასოციაციის წევრს ქალბატონ ნინო მანჯავიძეს მეუღლის**

**თენგიზ შანიძის**

**გარდაცვალების გამო.**

---

**ი.ფაღავას სახელობის პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები თანაუგრძნობენ პროფესორ თამაზ ყურაშვილს დის**

**მანანა ყურაშვილის**

**გარდაცვალების გამო**

---

**თინა, მარიზა, რუსუდან მაზმანიშვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან**

**მანანა ყურაშვილის**

**გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ახლობლებს.**

---

**საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაცია, აკად. კ.ჩაჩავას მრავალპროფილიანი კლინიკა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა კლინიკის ყოფილი თანამშრომელი, ექიმი ნეონატოლოგი, კეთილშობილი და უაღრესად პატიოსანი ადამიანი**

**მანანა ყურაშვილი**

**და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**დავით წებრია ოჯახით უსამძიმრებს და თანაუგრძნობს ქალბატონ ეთერს, მარინას, ნანას, გოჩას, სიძეებს თემურს, ბაკურს და შვილიშვილს იურის საყვარელი ადამიანის**

**გრიშა გეთიას**

**გარდაცვალების გამო. მისამართი: ზუგდიდი, ჭყონდიდელის ქ. № 14.**

### პერსპექტივა

# მუხლივით გლუვი თავი აღარავის ექნება

**თმის გადანერგვის პრობლემაზე მუშაობა მეცნიერებმა გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში დაიწყეს, პირველი წარმატებული ოპერაცია კი 1959 წელს გაკეთდა. ეს მეთოდი დღესდღეობითაც მეტად ეფექტიანადაა მიჩნეული, თუმცა კი საკმაოდ შრომატევადია და ძვირი. ახლახან გავრცელდა ინფორმაცია, რომ თმის ამოყვანას ნებისმიერი მსურველი უპრობლემოდ შეძლებს.**

პრაქტიკოსმა მედიკოსმა დიდი ხანია თმების მცენარეებივით გადანერგვა ისწავლეს, რის შესახებ რეკლამამ ყველას გვარიანად მოგვაბეზრა თავი. ამასთან, არსებობს გარკვეული სირთულეებიც, რადგან ყველა თმა ახალ ადგილზე „არ ხარობს“ — დაახლოებით ისე, როგორც ეს ხშირად უკვე გაზრდილ დიდ ხეებს მოსდით. თანაც „ამოთხრილ“ ადგილებში „ორმოები“ ჩნდება, არც თავზე თმის ოდენობა მატულობს — უკეთეს შემთხვევაში ის უფრო თანაბრად გადანაწილდება ხოლმე.

არსებობს თმის ამოყვანის სხვა, გაცილებით უფრო ნოვატორული და ერთგვარად უფრო „სასოფლო-სამეურნეო“ იდეა. მისი არსი ის არის, რომ **გადაინერგოს არა უკვე ამოსული და „გახარებული“ თმა, არამედ იგი ერთგვარად ჩაინერგოს, რაც, ფაქტობრივად, მის ხორბალივით ან ქერივით დათესვას და მერე „ამოსვლას“ ნიშნავს.**

მელოტ თავებზე „საველე სამუშაოებს“ ამჟამად რამდენიმე ქვეყანაში ატარებენ, მაგრამ ყველაზე დიდ წარმატებას იაპონელებმა მიაღწიეს, რის შესახებ ცოტა ხნის წინათ მსოფლიოს ამცნეს კიდეც.

ტოკიოს უნივერსიტეტის სპეციალისტების ჯგუფმა, რომელსაც დოქტორი ტაკაში ცუჟი ხელმძღვანელობს, ადამიანის თმის „ჯეჯილი“ „მოიყვანა“, ოღონდ ამის გაკეთება არა მელოტების თავებზე, არამედ სრულიად უბალნო თაგვებზე შეძლეს, რომლებიც ამ მიზნისთვის ხელოვნურად საგანგებოდ გამოიყვანეს. ადამიანის თმის პარკუჭებიდან დამზადებულმა მასალამ უბალნო თაგვებზე მშვენივრად „იხარა“ და ზრდაც სწრაფად დაიწყო. იაპონელ მკვლევართა უახლოესი გეგმა, ბუნებრივია, წარმატებული ცდის ქაჩალ ადამიანებზე გადატანაა.

**— კეფიდან სკალპის ნაწილის აღება და მისგან თმის პარკების წარმომქმნელი უჯრედების ამოღება, შემდეგ კი მისი მკვებავ გარემოში მოთავსება და გამრავლება-გახარება შეგვიძლია, — ასე ყვება მომავალ ცდებზე დოქტორი ცუჟი. — რვა კვირის მერე კი კოლბებში უკვე მილიონობით უჯრედი-თესლი გვექნება, რომლებსაც მელოტებს კანქვეშ დაახლოებით სამი მილიმეტრის სიღრმეზე გადავუნერგავთ.**



თაგვებზე ამოსული ადამიანის თმის ძირები მაგრებია, ამასთან დოქტორი ცუჟი დარწმუნებულია, რომ ადამიანებზე ისინი კიდევ უფრო ძლიერები იქნებიან, თან არც გაცვივდებათ, რადგან იმუნური სისტემისთვის ისინი „მშობლიური“ იქნებიან.

ექსპერიმენტების დროს თმას ჯერჯერობით მეჩხერად რგავენ, რაც მასზე დაკვირვების გაიოლების მიზნით კეთდება, თუმცა, დოქტორ ცუჟის თქმით, ცოტა ხანში მას „რამდენიც საჭირო იქნება, იმდენს დათესენ“.

**დალი ხუნდაძე**

### მოგვმართავენ, გვეკითხებიან

რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

**კითხვა: ვარ საქართველოს ყოფილი უმაღლესი თანამდებობის პირის მეუღლე. გთხოვთ, განმიმარტოთ, რომელი კანონით დაენიშნება ჩემს მცირეწლოვან შვილს პენსია მამის გარდაცვალების გამო - „სახელმწიფო პენსიების შესახებ“ საქართველოს კანონით, თუ სხვა საკანონმდებლო აქტი მოქმედებს მსგავს შემთხვევაში?**

**პასუხი:** საქართველოს ყოფილი უმაღლესი თანამდებობის პირის გარდაცვალების გამო, მცირეწლოვან შვილს ენიშნება სახელმწიფო კომპენსაცია. მისი ოდენობა განისაზღვრება „საქართველოს ყოფილი უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირების ოჯახის წევრთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონით.

* * *

**კითხვა: დანიშნული მაქვს სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია. როგორც შევიტყვე, 2008 წლის 1 იანვრიდან იგი 16 ლარით უნდა გამზრდოდა, მაგრამ აღნიშნული ცვლილება რატომღაც დღემდე არ შემხებია. გთხოვთ, განმიმარტოთ, როგორი წესით განისაზღვრა აკადემიური სტიპენდიის ოდენობა სამეცნიერო ხარისხის მქონე პირთათვის და ვის მივმართოთ მისი გაზრდის საკითხზე?**

**პასუხი:** მოქმედი კანონის თანახმად, სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის ოდენობა განისაზღვრება საჯარო მოხელის მინიმალური თანამდებობრივი სარგოს: 80%-ის ოდენობით — მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მქონე პირთათვის და უმაღლეს სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესორის სამეცნიერო-პედაგოგიური წოდების მქონე პირთათვის; 60%-ის ოდენობით — მეცნიერებათა კანდიდატის მქონე პირთათვის და უმაღლეს სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებაში დოცენტის სამეცნიერო-პედაგოგიური წოდების მქონე პირთათვის და 40%-ის ოდენობით — სამეცნიერო ხარისხის არმქონე პირთათვის.

თუ თქვენ 2008 წლის 1 იანვრიდან აკადემიური სტიპენდია არ გაგზრდიათ, გირჩევთ, აღნიშნულ საკითხზე დაუყოვნებლივ მიმართოთ სოციალური მომსახურების სააგენტოს (ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი №144ძ.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 299-62-77.**

### ინფორმაცია

## სამი დღის განმავლობაში წვიმიანი ამინდებია მოსალოდნელი

**როგორც გარემოს ეროვნული სააგენტოს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრიდან სვეტლანა ნიორაძემ განაცხადა, შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთიდან საქართველოს ტერიტორიაზე ცივი ჰაერის მასები შემოვიდა, რის გამოც ამინდი შეიცვალა. აღნიშნულის შედეგად, სამი დღის განმავლობაში მოსალოდნელია არამდგრადი, წვიმიანი ამინდები, მათ შორის ზღვისპირეთშიც იწვიმებს.**

**6 ივლისამდე დასავლეთ საქართველოს ბარში ღამით მოსალოდნელია 12-17; დღისით — 20-25 გრადუსი; ამასთან, მთებში ღამით — 8-13, ხოლო დღისით — 17-22 გრადუსი; მაღალმთაში კი — 5-10; დღისით — 17-22 გრადუსი.**

**აღმოსავლეთ საქართველოს ბარში ღამით მოსალოდნელია 18-23 გრადუსი, მთებში — 6-11, ხოლო მაღალმთაში 3-8 გრადუსი. დღისით კი საშუალოდ ტემპერატურა 20-25 გრადუსი იქნება.**

**ამასთან, 6 ივლისის შემდეგ პერიოდულად გამოიდარებს, თუმცა არამდგრადი ამინდები ქვეყნის ტერიტორიაზე 12 ივლისამდე შენარჩუნდება.**

ინტერპრესნიუსი

სულიერება

# მათი ღვაწლი მსგავსია



**4 ივლისს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს წმინდა მოწამეებს, მეფეებს არჩილს და ლუარსაბს.**

... მეფე არჩილი და ლუარსაბი იბრძოდნენ საქართველოს ეკლესიათა დაცვისთვის. ისინი ცდილობდნენ, რაც შეიძლება მოკლე ხანში აღედგინათ მტერთაგან აოხრებული ჩვენი ულამაზესი ქვეყანა.

როცა სარწმუნოების შეცვლაზე მოთხოვნის პასუხად მტრებმა უარი მიიღეს, მეფეები (სხვადასხვა დროს) აწამეს.

ამ მეფეებს ერთმანეთისგან ათასი წელი აშორებთ, მაგრამ მათი ღვაწლი და წამება მსგავსია...

საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ მეფეთა – არჩილის და ლუარსაბის ხსენება ერთ დღეს დააწესა.

**გიული ლიპარტია**

ტესტი

# უფრთხილდებით ჯანმრთელობას?

## გაიარეთ ტესტი, რომელიც დაგეხმარებათ განსაზღვროთ, რამდენად პასუხისმგებლობით ეკიდებით საკუთარ ჯანმრთელობას

**1. ჩვეულებრივად სამედიცინო დახმარებისთვის მიმართავთ:**
ა) შეუძლოდ ყოფნის პირველსავე ნიშნებზე.
ბ) სხვადასხვაგვარად, სიტუაციის შესაბამისად.
გ) ხანგრძლივი თვითმკურნალობის შემდეგ.

**2. როდესაც მიიღებთ ექიმის რეკომენდაციებს, თქვენ:**
ა) მკაცრად იცავთ მათ.
ბ) თხოვთ ექიმს, მოგცეთ ასარჩევად მკურნალობის რამდენიმე ხერხი.
გ) მის რჩევებს უსმენთ შერჩევით.



**3. თუ დადიხართ სატრენაჟორო დარბაზში, თუ ასრულებთ ვარჯიშებს?**
ა) დიახ, რეგულარულად.
ბ) ზოგჯერ, განწყობილების შესაბამისად.
გ) არა, არასოდეს.

**4. ეწევით?**
ა) ეს მავნე ჩვევა არა მაქვს.
ბ) ადრე ვეწეოდი.
გ) დიახ.

**5. თუ ცდილობთ დაიცვათ კვების რაციონალური რეჟიმი?**
ა) დიახ.
ბ) უფრო კი, ვიდრე არა.
გ) არა.

**6. ხშირად გიწევთ საქმისთვის თავის მინებება და მოდუნება?**
ა) მე მგონი კი.
ბ) ცდილობთ ამის გაკეთებას, მაგრამ ყოველთვის არ არის ამის საშუალება.
გ) არა, ეს ჩემი საქმე არ არის.

**7. თუ აწარმოებთ დაავადებათა პროფილაქტიკას?**
ა) თავს არ არიდებთ სამედიცინო შემოწმებას და, როგორც წესი, იკეთებთ აცრებს.
ბ) ხანდახან, თუმცა საოჯახო პირობებში და ხალხური საშუალებებით.
გ) ეს დროის ფუჭ დაკარგვად მიგაჩნიათ.

**8. ცდილობთ შეარჩიოთ სამედიცინო დაწესებულებები:**
ა) ნათესავებისა და მეგობრების რეკომენდაციით.
ბ) გააჩნია, მაგრამ მაინც ძირითადად სარგებლობთ რაიონული პოლიკლინიკის მიმართვებით.
გ) ხელმძღვანელობთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების რეკლამებით.

**9. შეგიძლიათ თქვათ, რომ თქვენი წონა ნორმის ფარგლებშია?**
ა) დიახ, რა თქმა უნდა.
ბ) მიჭირს პასუხის გაცემა.
გ) არა.

## შეაჯამეთ ქულები და გააკეთეთ დასკვნა:

**ყოველ პასუხზე „ა“ დაიწერეთ 1 ქულა, პასუხზე „ბ“ – 2 ქულა, პასუხზე „გ“ – 3 ქულა.**

**27-22 ქულა.** თქვენ უნდა შეცვალოთ თქვენი დამოკიდებულება საკუთარ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით. ერთი სიბრძნე გვასწავლის: „ჯანმრთელობა ცხოვრების ყველა სიკეთეს სჯაბნის იმით, რომ ჭეშმარიტად ჯანმრთელი მათხოვარი ავადმყოფ მეფეზე ბედნიერიაო“. შეიძლება, ყოველდღიურმა ფაცი-ფუცმა დაგავიწყათ, რომ ჯანმრთელობას უნდა ვაფასებდეთ, სანამ ის გვაქვს და მივაქციოთ მას ყურადღება, სანამ უბედურება კარს არ მოგვადგომია.

**21-15 ქულა.** როგორც ეტყობა, თქვენ მიმართავთ ექიმს უპირატესად უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში. დაავადებათა პროფილაქტიკას აწარმოებთ ძველი მამა-პაპური მეთოდებით, ხოლო როდესაც ტელევიზორში უყურებთ რეკლამას მრავალრიცხოვანი ახალმოდური პრეპარატებისა, რომლებიც ერთ კვირაში კურნავს ყველა დაავადებას, მხოლოდ ირონიულად იღიმებით, იცით, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობა დამოკიდებულია არა სამედიცინო ხელოვნებაზე, არამედ ჩვენს ჩვევებსა და ცხოვრების წესზე. და მაინც, ეცადეთ, გაიაროთ ხოლმე სამედიცინო შემოწმებები – ავადმყოფობის თავიდან აცილება გაცილებით იოლია, ვიდრე მისი მკურნალობა!

**14-9 ქულა.** თქვენ, როგორც ჩანს, სერიოზულად, ზოგჯერ კი გულის ფანცქალით ეკიდებით თქვენი ჯანმრთელობის საკითხს, აქ მთავარია – არ გადავაჭარბოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ზედმეტი ზრუნვა შეიძლება ავადმყოფურ ეჭვიანობაში გადაიზარდოს.

ანეკდოტები

**მივიდა** ტიპი ექიმთან:
– გემოს შეგრძნება დავკარგე, – შესჩივის მკურნალს.
– ექთანო, მეცხრამეტე სინჯარა!
– ოი, ეს ხომ განავალია!
– აი, გემოს შეგრძნება დაგიბრუნდათ!
ცოტა ხნის შემდეგ ის ტიპი ისევ მივიდა იმავე ექიმთან:
– მეხსიერების პრობლემები მაქვს! – შესჩივლა მკურნალს.
– ექთანო, მეცხრამეტე სინჯარა!
– რას ამბობთ, ექიმო, მასში ხომ განავალია?!
– აი, მეხსიერებაც მოგიწესრიგდათ!

* * *



**გვიანი** ღამეა. ორი ღამის უძინარი ტაქსისტი უხალისოდ ატრიალებს საჭეს. ჩაიარა ქუჩაზე, რომელზეც მსუბუქი ყოფაქცევის ქალები მუშაობენ.
ერთმა მათგანმა ტაქსისტს ხელი აუწია. მძღოლმა გაუჩერა. გოგომ მანქანაში თავი შემოყო:
– ორალური 50.
– ორალური 50, ორალური 50, – ბურტყუნებს მძღოლი, – სად არის ეს ქუჩა?

* * *

**სამოთხეში** მოხვდნენ მღვდელი და ბაიკერი. მათ შესახვედრად პავლე მოციქული გამოდის და ამბობს:
– თქვენზე ყველაფერი ვიცი. სამოთხეში პირველი ბაიკერი შევა.
– ეს როგორ? – უკვირს მღვდელს, – მე მთელი ცხოვრება ვლოცულობდი, ხალხს ლოცვებს ვუკითხავდი!!! ამიტომ პირველი მე უნდა შევიდე!!!
– როდესაც შენ ლოცვებს კითხულობდი, – მთქნარებით ეუბნება პავლე, – ყველა იძინებდა... ხოლო, როდესაც ტრასაზე ბაიკერი გამოდიოდა, ყველა ლოცულობდა!

* * *

– რა აქვს ქალებს თვეში ერთხელ, რომელიც 4-5 დღეში მთავრდება?
– ქმრის ხელფასი.

ჩვენი პრესდაიჯესტი

# გუშინდელი გაზეთებიდან



### ექიმებზე თავდასხმის ფაქტები გახშირდა

პარლამენტარი ჯონდი ბაღათურია აღშფოთებულია, რომ ქართველ ექიმებს უმძიმეს მდგომარეობაში უწევთ ყოფნა. მორალური თვალსაზრისითაც, რადგან მათ არ ეძლევათ საშუალება, რომ ავადმყოფს მიხედონ, თუკი მას ჯიბეში არ უდევს სადაზღვევო პოლისი ან ფული და ძალიან ბევრი ექიმისთვის ეს მნიშვნელოვანი პრობლემაა და ტრაგედიის ტოლფასია. საქართველოში ზოგადად ექიმის ხელფასი არის 3-4-ჯერ უფრო დაბალი, ვიდრე მათ რეალურად უნდა ჰქონდეთ. ზოგჯერ ექიმებს და ექთნებს მიზერულ ანაზღაურებაზე უწევთ მუშაობა.

**„რეზონანსი“**

### „სააკაშვილი მერაბიშვილს აღარ ენდობა“

ამბობს ადვოკატი და უფლებადამცველი ნანა კაკაბაძე, – ვანოს პირდაპირ გათავისუფლება ან დაბალი თანამდებობის შეთავაზება ეჭვს გამოიწვევდა საზოგადოებაში, რომ სააკაშვილსა და მერაბიშვილს შორის არსებობს უთანხმოება... ზოგი იმასაც ფიქრობს, რომ სააკაშვილი შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩააბარებს ისეთ ადამიანს, რომელიც გაცილებით უარესის გამკეთებელი შეიძლება იყოს, ვიდრე მერაბიშვილი. ფაქტია, რომ არჩევნების წინ ასეთი ცვლილებები მიანიშნებს იმას, რომ შიგნით გუნდში ყველაფერი რიგზე არ არის.

**„ახალი თაობა“**

### შალვა ნათელაშვილი ივანიშვილი-მერაბიშვილის გეგმებს შიფრავს

– „ივანიშვილი, სააკაშვილი, ჟვანია და ბურჯანაძე იყვნენ „ვარდების რევოლუციის“ ლიდერები! დედმამიშვილების ჩხუბი უფრო ადვილი წარმოსადგენია, ვიდრე ამათი დაცილება და ჩხუბი. ესენი არიან ერთი პოლიტიკური დედმამიშვილები! რა თქმა უნდა, ესენი მაჟორიტარებზეც შეთანხმდებიან და ყველაფერზეც, რადგან მათ შორის ყველაფერთან ერთად გატეხილია დიდი ფული“, – ამბობს შალვა ნათელაშვილი.

**„ალია“**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
(ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24